პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 252 (5353) | ოთხშაბათი, 2 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს (მოწინავე)
დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით, მედლებით „მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის" (1-ლი გვ.)
ხასანის გმირები (მე-2 გვ.)
მიხეილ კოლცოვი — „დიადი განთიადი" (მე-2 გვ.)
ბორის კანდიდოვი — ანაფორიანი ჯაშუშები (მე-2 გვ.)
1917 წლის ოქტომბრის დოკუმენტები (მე-3 გვ.)
ნ. ბაიდაშვილი — ტყიბულის მაღაროელები უკეთესად იმუშავებენ (მე-3 გვ.)
რესპუბლიკური თათბირი საგზაო მშენებლობის საკითხებზე (მე-4 გვ.).

უცხოეთში:

იტალია - გერმანიის მოლაპარაკება (1-ლი გვ.)
გერმანიის ფაშიზმის ბოდვითი გეგმები (1-ლი გვ.)
ნეგრინის სიტყვა (მე-2 გვ.)
საფრანგეთის ხელისუფალთა „გმირობა" (მე-2 გვ.)

სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს

ჩვენი ქვეყანა — ენტუზიასტთა, შემოქმედთა, გმირთა ქვეყანაა. ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი მტკიცედ, თავდადებით შეუდგა სოციალისტური საზოგადოების შენებას ისე, რომ იგი არ შემკრთალა არავითარი სიძნელეების წინაშე.

და მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიური კრიზისი მძვინვარებდა, ჩვენს ქვეყანაში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეუნელებლად გრძელდებოდა მრეწველობის აღმავლობა. „სსრ კავშირის მრეწველობამ თავის სულ უფრო-და-უფრო მზარდ აღმავლობაში 1937 წლის დამლევისათვის მიაღწია 1929 წლის დონის 428 პროცენტს, ხოლო ომამდელ დონესთან შედარებით 7-ჯერ უფრო მეტად გაიზარდა". (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

საქართველო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე წარმოადგენდა აგრარულ-წვრილ გლეხურ ქვეყანას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად გადაიქცა სსრ კავშირის ერთერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად.

საქართველოში სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში დიდათ გაიზარდა. 1937 წლისათვის იგი უდრიდა 75,2 პროცენტს.

ეს წარმატებები მრეწველობაში პირდაპირი შედეგია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის თავდადებული მუშაობისა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით დიდი მომავლის ღრმა რწმენით, დაუშრეტელი ენერგიითა და ენტუზიაზმით იბრძვის სოციალიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ეს წარმატებები შედეგია ლენინ-სტალინის პარტიის მიერ დანერგული სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ცეცხლისა, რომელსაც მოჰყვა შრომის ნაყოფიერების არნახული ზრდა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ წარმოშვა საბჭოთა მრავალი სახელოვანი ადამიანები, შეჯიბრებამ წარმოშვა დამკვრელები, წარჩინებულები და სტახანოველები —შრომის მაღალი ნაყოფიერების ეს ოსტატები.

სოციალისტური შეჯიბრება ის ძალაა, რომელიც კადრებს უზრდის ჩვენს ქვეყანას, რომელიც ზრდის შრომითი შემოქმედების უნარს, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის უმაგალითო გამარჯვებებს სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე.

და დღეს, ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავის წინადღეებში, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლით აღგზნებული, ყველა საბჭოთა ხალხებთან ერთად, საქართველოს მშრომელები უძვირფასეს საჩუქრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაებნენ ათასობით მუშები და კოლმეურნეები. მათ იკისრეს ახალი ვალდებულებები და უკვე დღესასწაულის წინადღეებში დიდმა უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრება გადაიქცა სოციალისტური შრომის ნაყოფიერების ახალი აღმავლობის, სტახანოვური მოძრაობის ახალი მძლავრი განვითარების უდიდეს ძალად.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის „კომუნისტის" სახელობის სტახანოვურმა ბრიგადამ, რომელსაც ქარხანაში ყველასათვის ცნობილი სტახანოველი ამხ. პეტრე ჟავორონკო ხელმძღვანელობს, ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავთან დაკავშირებით, წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, სასახელო წარმატებებს მიაღწია. ამ ბრიგადამ აღებული ვალდებულება ოქტომბერში 120 ტონა რკინის გაგლინვის შესახებ საქმედ აქცია და 29 ოქტომბრისათვის დაპირება გადაჭარბებით შეასრულა, — ნაცვლად 120 ტონისა გაგლინა 124 ტონა რკინა—დავალება ვადაზე ადრე და 103,4 პროცენტით გაანაღდა.

ამხ. ჟავორონკოს ბრიგადის გამარჯვება შედეგია სტახანოვურ მუშაობაში კოლექტიურობის დანერგვისა. ჟავორონკოს ბრიგადაში ყველა სტახანოველია, ხოლო თვით ამხ. ჟავორონკო კარგადაა დაუფლებული სტახანოვური მუშაობის კოლექტიური ორგანიზაციის ფორმას, — აი მათი მიღწევის „საიდუმლოება".

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ამწყობი სამქროს მეხუთე ბრიგადა (ხელმძღვანელი—ამხ. მალიაროვი) სტახანოვურად მუშაობს. მათ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის დროს აღებული ვალდებულება საშუალო პერიოდული შეკეთებიდან 4 ვაგონის გამოშვების შესახებ ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეასრულეს.

ასევე დიდი ენტუზიაზმით უმზადებენ ძვირფას საჩუქრებს დედა-სამშობლოს თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები. ახალგაზრდა დოცენტი ეკონომისტი ამხ. გელოიანი ამთავრებს საინტერესო შრომას თემაზე — „საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერება", ახალგაზრდა ინჟინერმა თევაძემ უკვე დაამთავრა მეცნიერული ნაშრომი თემაზე—„თუჯის ანტიფრიქციულ თვისებათა გამოკვლევა".

ბათუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მეოთხე სამქრო, რომელსაც შეთაურობს საუკეთესო სტახანოველი ქალი ამხ. თ. რევია, წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ მთლიანად გადავიდა სტახანოვურ მუშაობაზე. ამ სამქრომ სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად დიდი გადაჭარბებით შეასრულა ოქტომბრის გეგმა. ხაშურის ელდეპოს მემანქანეებმა ამხ. გ. ლაბაძემ, ვლ. მიქაძემ და ნ. კახურაშვილმა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის დროს აღებული ვალდებულების განაღდებით ქვეყანას მისცეს 17.835 მანეთის ეკონომია... და განა ერთი და ორია ასეთი? ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ყველა საბჭოთა ორგანიზაციებში ულეველად გვყავნან ტალანტიანი, ენერგიული, პარტიისა და ხელისუფლების საქმისათვის თავდადებული ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მაღალნაყოფიერი შრომით სახელი გაითქვეს მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიჭედნენ კადრები, რომლებიც დაწინაურდნენ ხელმძღვანელ პოსტებზე. გუშინდელი რიგითი მუშა და გლეხი დღეს მეთაურია მრეწველობაში, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელია. დიახ, ეს ასეა და ეს საამაყოა. ფეროშენადნობთა გიგანტის სტახანოველი მუშა ამხ. გ. სალაძე დღეს თბილისის ერთერთი დიდი ქარხნის ორდენოსანი დირექტორია. მარგანეცის გუშინდელი მბრეველი ვ. სამხარაძე სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს დირექტორია.

აბრეშუმის ფაბრიკის მჩხოველი მუშა-ქალი ეთერ მაზანაშვილი რაიონული საბჭოს თავმჯდომარეა. ასევე მრავალი მოწინავე მუშა და გლეხი დღეს დიდი სახელმწიფო მოღვაწეა.

მიმდინარე წელი ჩვენ სტახანოვურად უნდა დავამთავროთ. სოციალისტური შეჯიბრება ის ძალაა, რომელიც უზრუნველჰყოფს ამ მოთხოვნის შესრულებას. პირველი შედეგები უკვე გამოხატულია შესანიშნავ სტახანოვურ მიღწევებში.

მაგრამ ეს არ კმარა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წინასაოქტომბრო შეჯიბრება, რომელიც გადაიქცა მილიონთა შეჯიბრებად, ერთ წუთსაც არ შევანელოთ, კიდევ უფრო მეტად გამოვიყენოთ იგი მთელი სტახანოვური მოძრაობის შემდგომი საერთო აღმავლობისათვის. თვითეული მუშის, სამეურნეო და პარტიული მუშაკის ამოცანაა ბოლშევიკურად ემზადონ დიდი ოქტომბრის წლისთავის შესახვედრად.

განსაკუთრებით პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ უზრუნველჰყონ კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება წარმოებაში, რათა პირველ რიგში კომუნისტები იყვნენ სტახანოვური მოძრაობის, სოცშეჯიბრების გაშლის ორგანიზატორები და მეთაურები.

წარმოებაში კომუნისტის ავანგარდული როლის ყოველნაირად ამაღლებით, პოლიტიკური მუშაობის სწორად შეთავსებით სამეურნეო მუშაობასთან, სამეურნეო კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაუმჯობესებით, სოციალისტური მშენებლობის ახალი წარმატებებით შევხვდეთ ოქტომბრის დიდი რევოლუციის 21 წლისთავს.

ეკატერინე მედნიკოვას გაფრენები იცნეს საერთაშორისო რეკორდებად

სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის ცნობილმა მფრინავმა—სპორტსმენმა ქალმა ეკატერინე მედნიკოვამ 23 სექტემბერს მოახდინა სიჩქარეზე გაფრენა 100 კილომეტრის მანძილზე. ინჟ. ა. ს. იაკოვლევის კონსტრუქციის ერთმოტორიანი მსუბუქი ჰიდროპლანით „უტ-1" მან განავითარა საშუალო სიჩქარე 197 კილომეტრი და 217 მეტრი საათში.

27 სექტემბერს ამხ. მედნიკოვამ მოახდინა სიმაღლეზე გაფრენა. ჰიდროთვითმფრინავით „უტ-1" მან მიაღწია 4.082 მეტრის სიმაღლეს.

სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალურმა აეროკლუბმა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის პრეზიდიუმისაგან მიიღო ცნობა, რომ ეკატერინე მედნიკოვას ორივე გაფრენა ცნობილ იქნა ქალთა საერთაშორისო რეკორდებად „ს-ბის" კლასის მიხედვით.



თვითმფრინავ „როდინას" ეკიპაჟი ხაბაროვსკში.

სურათზე: ვ. გრიზოდუბოვა სიტყვას ამბობს მიტინგზე. მარცხნივ პ. ოსიპენკო. მარჯვნივ მ. რასკოვა.

„სოიუზფოტო"

იტალია-გერმანიის მოლაპარაკება

რომი, 31 ოქტომბერი (საკდესი). იტალიური გაზეთები „ვოჩე დ' იტალია" და „მესაჯერო" აცხადებენ მოწინავე სტატიებში, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან რიბენტროპთან მუსოლინისა და ჩიანოს მოლაპარაკების დროს მიღწეულია შეთანხმება უნგრეთის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ. მიუთითებს რა გერმანია-იტალიის მომავალ არბიტრაჟზე, „ვოჩე დ' იტალია" სწერს, რომ, უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის დავის მომავალი გადაჭრისას მხედველობაში იქნება მიღებული ის, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე იქნას დაკმაყოფილებული უნგრეთისა და პოლონეთის პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიის მიმართ.

ეს განცხადება აქ ესმით ისე, რომ რიბენტროპთან ხანგრძლივი დავის შედეგად გამონახულია კომპრომისი, რომლითაც უნგრეთს ეძლევა ზოგიერთი დამატებითი უბნები, მაგრამ სრულიადაც არა ისე, როგორც ამას ბუდაპეშტი და რომი მოისურვებდა. მიუხედავად მუსოლინის ყველა ცდისა, გერმანია, როგორც ჩანს, არ დაეთანხმა უნგრეთ-პოლონეთის საერთო საზღვრის შექმნას.

შემდეგ გაზეთი იტყობინება, რომ რომსა და ბერლინს შორის „მიღწეულია სრული შეთანხმება" ესპანეთის საკითხში. ადგილობრივი უცხოელი წრეების ცნობებით, ეს შეთანხმება გულისხმობს იმას, რომ გერმანიამ და იტალიამ უარი სთქვან ესპანეთიდან ინტერვენტების ჯარებისა და ავიაციის რაიმე გაწვევაზე. პირიქით, ინტერვენტთა ძალები შევსებული იქნება იმ ანგარიშით, რომ იტალიასა და გერმანიას შესაძლებლობა ჰქონდეთ მომავალშიაც გამოიყენონ ესპანეთის ტერიტორია შანტაჟისა და დასავლეთ-ევროპის ქვეყნებზე ზეგავლენისათვის.

იტალია-გერმანიის მოლაპარაკების შემდეგი პუნქტი—ეს არის იტალია-გერმანიის ბლოკის ყოფაქცევის საერთო ხაზი ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღების მიმართ. გაზეთები არ სწერენ, სახელდობრ რას შეიცავს ყოფაქცევის ეს საერთო ხაზი. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ რომის მოლაპარაკების დროს დასმული იყო საკითხი ინგლისისა და საფრანგეთისათვის მორიგი დარტყმის მომზადების შესახებ.

გერმანიის ფაშიზმის ბოდვითი გეგმები

ბაზელი, 31 ოქტომბერი (საკდესი). შვეიცარიის კომპარტიის ორგანო „ფრაიჰაიტი" იუწყება, რომ ომისა და ფაშიზმის საწინააღმდეგო მსოფლიო მოძრაობის პარიზის კომიტეტს მიუვიდა ფურცელი, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში გერმანელი ფაშისტები ავრცელებდნენ მთელ რიგ ადგილებში და, კერძოდ სუდეტის ოლქში, სანამ მას დაიპყრობდნენ. ფურცელი შეიცავს „დიდი გერმანიის" რუკას, თუ როგორ უნდა გამოიცქირებოდეს გერმანია, გერმანიის ფაშიზმის გეგმის მიხედვით, რამდენიმე წლის შემდეგ. რუკაზე აღნიშნულია გერმანიის ფაშიზმის მიერ განზრახულ დაპყრობათა კალენდარული ვადები. ეს ვადები შემდეგია: 1938 წლის გაზაფხული—ავსტრია; 1938 წლის შემოდგომა — ჩეხოსლოვაკია; 1939 წ. გაზაფხული—უნგრეთი; 1939 წლის შემოდგომა—პოლონეთი; 1940 წ. გაზაფხული—იუგოსლავია; 1940 წლის შემოდგომა — რუმინეთი და ბულგარეთი, 1941 წლის გაზაფხული—საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, დანია და შვეიცარია და 1941 წლის შემოდგომა — სსრ კავშირი.

რუკაზე აგრეთვე აღნიშნულია, რომ გერმანიის ფაშიზმი ამავე დროს ხელს შეუწყობს იტალიის ფაშიზმის მტაცებლურ გეგმების განხორციელებას. ამ უკანასკნელის ობიექტების სახით რუკაზე აღნიშნულია ესპანეთის უდიდესი ნაწილი, საფრანგეთის სამხრეთი რაიონები, საბერძნეთის, თურქეთის უდიდესი ნაწილი, სირია, პალესტინა და ჩრდილო აფრიკა.

გაზეთი სწერს, რომ ამ ფურცელს, როგორც ჩანს, მიზნად აქვს დასახული, რომ იგი წარმოადგენდეს ილუსტრაციას ჰიტლერის წიგნის — „მაინ კამპფისა", სადაც როგორც ცნობილია, მოყვანილია გერმანიის ფაშიზმის მტაცებლური გეგმები.

რადიკალ-სოციალისტების ყრილობის დახურვა

პარიზი, 29 ოქტომბერი (საკდესი). რადიკალ-სოციალისტების პარტიის ყრილობა დაიხურა რეზოლუციის მიღებით პარტიის საერთო პოლიტიკის შესახებ. ყრილობამ სავსებით მოიწონა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნულია კომუნისტური პარტიის დევნა, რასაც რადიკალ-სოციალისტების ხელმძღვანელობა არაერთხელ ახდენდა მიუნხენის შეთანხმების დადების მომენტიდან. რეზოლუცია ცდილობს რადიკალ-სოციალისტების სახალხო ფრონტისაგან ჩამოცილება დაჰფაროს იმის მტკიცებით, რომ კომპარტიასა და სახალხო ფრონტს შორის განხეთქილება მოხდა. რეზოლუცია შემდეგ მხარს უჭერს იმას, რომ შეცვლილ იქნას საარჩევნო კანონი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს „მთავრობის ავტორიტეტისა და სტაბილობის უზრუნველყოფას". ყრილობამ დაავალა მთავრობას მიიღოს საჭირო ზომები, რომელსაც სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა მოითხოვს. დელეგატთა მცირე ნაწილმა თავი შეიკავა რეზოლუციისათვის ხმის მიცემისაგან.

პარტიის საერთო პოლიტიკის შესახებ რეზოლუციის მიღების შემდეგ ყრილობამ ხელახლა აირჩია დალადიე პარტიის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის მეგობართა საფრანგეთის ასოციაციის ყრილობა

პარიზი, 31 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ ლიონში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მეგობართა საფრანგეთის ასოციაციის ყრილობა. ყრილობას ესწრება 430 დელეგატი, რომელნიც წარმოადგენენ საფრანგეთის ყველა დეპარტამენტს და საფრანგეთის სამფლობელოებს ჩრდილოეთ აფრიკაში.

საბჭოთა კავშირის მეგობართა საფრანგეთის ასოციაციის რიგებში 80 ათასი ინდივიდუალური წევრი ითვლება. გარდა ამისა, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ასოციაციას ემხრობიან, 2 მილიონი წევრი ჰყავთ, ეს უკანასკნელნი ასოციაციაში მონაწილეობას იღებენ კოლექტიური წევრობის საფუძველზე.

ყრილობის გუშინდელ საღამოს სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის მეგობართა ასოციაციის გენერალური მდივანი ფერნან გრენიე, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის მნიშვნელობა და მისი დაცვის საჭიროება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი არ შეიძლება ჩამოშორებულ იქნას იმ საკითხთა განხილვის დროს, რომლებიც ევროპის მდგომარეობას ეხება.

ყრილობაზე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის დაცვის სასარგებლოდ გამოვიდა აგრეთვე როდოლფ არტო, ზემო ალპების დეპარტამენტის რადიკალ-სოციალისტების ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარე.

საფრანგეთის მუშები პროტესტს აცხადებენ დალადიეს სიტყვის წინააღმდეგ

პარიზი, 30 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" ბეჭდავს მუშათა ორგანიზაციების მრავალ პროტესტს საფრანგეთის მთავრობის მეთაურის დალადიეს მიერ რადიკალ-სოციალისტების ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის წინააღმდეგ, რომელშიც იგი სასტიკად ესხმოდა თავს მუშათა კლასს. საავტომობილო ქარხნების მუშებმა რადიკალ-სოციალისტების ყრილობას საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს. ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ქალაქ მარსელის სახლების კედლებზე გააკრეს აფიშები პროტესტით დალადიეს სიტყვის წინააღმდეგ. პარიზის რაიონის გემოკვების მუშაკთა პროფკავშირის გაერთიანებამ პროფკავშირის 70 ათასი წევრის სახელით მიიღო აგრეთვე საპროტესტო რეზოლუცია საფრანგეთის მუშათა კლასზე დალადიეს თავდასხმათა წინააღმდეგ.

მიტინგები საფრანგეთში

პარიზი, 31 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში კვლავ იმართება კომუნისტური პარტიის მიერ მოწვეული მიტინგები, რომლებიც ჰგმობენ დალადიეს მთავრობის პოლიტიკას. ეტამპში (პარიზის მახლობლად) ასეთ მიტინგზე, რომელსაც 4 ათასი კაცი დაესწრო, გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი. ამხანაგმა ტორეზმა სხვათა შორის სთქვა, რომ დეპუტატთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში კომპარტია მზად არის საარჩევნო შეთანხმებათა დახმარებით უზრუნველჰყოს რესპუბლიკური ძალების წარმატება.

დენენში (ჩრდილო საფრანგეთი) გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც 12 ათასი კაცი დაესწრო. ამ მიტინგზე გამოვიდა ჟაკ დიუკლო. მიტინგები გაიმართა აგრეთვე ლიონსა და სხვა ქალაქებშიაც.

მოკლე ცნობები

გნომ - რონის საავიაციო ქარხნებში 6 ათასმა მელითონემ 28 ოქტომბერს თავისი საქარხნო დელეგატები აირჩია. მიუხედავად დირექციის მანევრებისა, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მომხრეების მიერ წამოყენებულ კანდიდატთა სიას ხმა მისცა მთელი მუშების 80 პროცენტმა.

○

1 ნოემბრიდან ავსტრიის ტერიტორიაზე ძალაში შედის კანონი სახელმწიფო მოსამსახურეთა შესახებ, რომელიც მოქმედებს მთელს გერმანიაში. ამასთან დაკავშირებით იუწყებიან, რომ 1 ნოემბერსა და 1 იანვარს შუა ჩატარებული იქნება ყველა სახელმწიფო მოსამსახურის „შემოწმება" უკლებლივ, მათი „პოლიტიკური კეთილსაიმედოობისა და არსებული სისტემისადმი ერთგულების" თვალსაზრისით. სამუშაოდან მოხსნიან არა მარტო ყოფილ სოციალისტებს, არამედ კათოლიკურ ორგანიზაციათა ყველა მომხრესაც.

○

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა არიტა ხაცირო და კოლონიების მინისტრად—ხატა მოსიაკ.

დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით, მედლებით „მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის"

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხასანის ტბის რაიონის დაცვისას საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, გმირობისა და მამაცობისათვის, საბჭოთა კავშირის ორდენებით და სსრკ მედლებით დაჯილდოებული არიან მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სანაპირო დაცვის მეთაურთა, უფროსთა შემადგენლობა, წითელარმიელები, მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ოჯახის წევრები, ჰოსპიტლებისა და სავაჭრო ფლოტის მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულნი არიან: უფროსი ლეიტენანტი ა. მ. მატვეევი, უფროსი ლეიტენანტი მ. გ. მოსკოვეცი, ლეიტენანტი ვ. ვ. მორგუნოვი, უფროსი ლეიტენანტი ა. ტ. ნიკიფოროვი, პოლიტხელი ი. ი. ნიკანოროვი, უმცროსი მეთაური პ. ფ. ნიკიფოროვი, წითელარმიელი ვ. ი. ნაკორიაკოვი, წითელარმიელი ლ. ი. ნემიროვსკი, უმცროსი მეთაური ნ. ვ. ოშურკოვი, წითელარმიელი კ. რ. ოსტაპჩენკო, წითელარმიელი ვ. ი. პოზდეევი, წითელარმიელი ი. ვ. რუსაკოვი, უფროსი პოლიტხელი ე. ნ. სამარუკოვი, უმცროსი მეთაური ვ. ს. სემიონოვი, უმცროსი მეთაური გ. ფ. სოსნოვსკი, უფროსი ლეიტენანტი ე. ს. სიდორენკო, წითელარმიელი ი. ი. სოტნიკოვი, წითელარმიელი ა. კ. სავინიხი, ლეიტენანტი ს. ი. სმოლიაკოვი, ბრიგადის მეთაური ა. ნ. ფედოტოვი.

მედლით „მამაცობისთვის" დაჯილდოებულია 340 კაცი.

340 კაცი დაჯილდოებულია **მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის".**

„წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებულია 400 კაცი. მათ შორის — წითელარმიელები ი. გ. კნეტსი, ნ. ა. კნიაზევი, ნ. ტ. კოროვკინი, ნ. ა. კოლესნიკოვი, უმცროსი მეთაურები: პ. მ. კონევი, პ. ა. კორშუნოვი, ი. პ. კოჩნევი, ლეიტენანტები: ზ. ფ. კოზელი, ა. ა. კონოპლიოვი, ს. პ. კორჩნიკოვი, უფროსი ლეიტენანტები: დ. ი. კრასავინი, დ. პ. კრავცოვი, ვ. ა. კუდრიავცევი, პოლკის კომისარი ი. პ. კულიკოვი, სამხედრო ფერშალი პ. ფ. კუდლაენკო, პოლიტხელის მოადგილე ა. ი. კუჩავა, პოლიტხელი ს. დ. კულიაშოვი, კაპიტანი ი. პ. ლებედევი და სხვ.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებულია 400 კაცი. მათ შორის—წითელარმიელები ნ. პ. ზალეშინი, შარიპ ზარიტდინოვი, ი. ი. ზასიპკინი, პ. ი. ზახაროვი, 1 რანგის სამხედრო ტექნიკოსი პ. ფ. ზაიცევი, პოლიტხელის მოადგილე პ. ი. ზინინი, 2 რანგის ინტენდანტი ა. ა. ივანოვი, პოლიტხელი ნ. დ. იშკოვი, 3 რანგის სამხედრო ექიმი გ. ნ. კაზანჩოვი, სამხედრო ფერშალი მ. ფ. კალინოვი, 3 რანგის სამხედრო ექიმი დ. ი. კანალკინი, ნატალია ვასილის ასული კარტაშოვა, კაპიტანი ს. ნ. კატკოვი, მაიორი ს. კ. კოლეგანოვი და სხვ.

მოსკოვი

„დიადი განთიადის" მარში წითელ მოედანზე

მოსკოვი, 1 ნოემბერი (**ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.**). 7 ნოემბერს წითელ მოედანზე პარადის დროს მ.-გ. წითელი არმიის შეერთებული ორკესტრი შეასრულებს ვანო გოკიელის მარშს ფილმ „დიადი განთიადიდან". მარში შესრულებული იქნება მ.-გ. წითელი არმიის სამხედრო ორკესტრთა ინსპექტორის, ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწის, ბრიგადის მეთაურის ამხ. ჩერნეცკის დამუშავებით. დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ეს მარში მოსმენილ იქნა თავდაცვის სახალხო კომისარიატის ორკესტრის შესრულებით. დაესწრნენ ამხ. ჩერნეცკი, მისი თანაშემწე, 1-ლი რანგის ინტენდანტი ლადუხინი, ამხ. ჭიაურელი, კომპოზიტორთა კავშირის და გამომცემლობა „ისკუსტვოს" წარმომადგენლები. მარში ყველას მოეწონა.

ორდენოსანი რეჟისორი მ. ჭიაურელი თავისი ფილმის შესახებ

მოსკოვი, 1 ნოემბერი (**ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.**). „ვეჩერნაია მოსკვამ" გუშინ მოათავსა საუბარი რეჟისორ ჭიაურელთან ფილმ „დიადი განთიადის" შესახებ, რომლის დემონსტრაციაც მოსკოვში 6 ნოემბერს დაიწყება. დაწვრილებით მოიყვანა რა ფილმის შინაარსი, ამხ. ჭიაურელმა განაცხადა: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ „დიადი განთიადის" დადგმა საქართველოს კინოსტუდიის კოლექტივმა განახორციელა გეგმით დასახულ ვადაზე 29 დღით ადრე. ჩვენმა ჯგუფმა გასწია 200 ათას მანეთზე მეტის ეკონომია იმ თანხებიდან, რომლებიც სურათის გადასაღებად იყო გადადებული. ამრიგად, სოცშეჯიბრება ჩვენი ჯგუფისა ლენინგრადის კოლექტივთან, რომელიც „თოფიან კაცს" სდგამდა, წარმატებით ჩატარდა".

ფილმი „თოფიანი კაცი" მოსკოვის ეკრანებზე

მოსკოვი, 1 ნოემბერი (**ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.**). გუშინ საღამოს მოსკოვის ერთერთ საუკეთესო კინოთეატრში—პირველ კინოთეატრში დაიწყო რეჟისორ იუტკევიჩის ახალი შესანიშნავი ფილმის „თოფიანი კაცის" (სცენარი—ნ. პოგოდინისა) დემონსტრაცია. ვ. ი. ლენინის როლს ასრულებს არტისტი შტრაუხი, ი. ბ. სტალინისას—არტისტი მიხ. გელოვანი, ჯარისკაც შადრინისას — არტისტი გვენინი. როგორც თქვენს კორესპონდენტს პირველი კინოთეატრის დირექტორმა ამხ. ზალცერმა აცნობა, საღამოს სამივე სეანსმა ანშლაგით ჩაიარა. ფილმი გუშინ ნახა 3.150 კაცმა. მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადების როლების შემსრულებელი არტისტების გამოჩენას ეკრანზე. შტრაუხსა და გელოვანს დიდი მხატვრული წარმატება ხვდათ. დღეს დილიდან ფილმს უჩვენებენ მოსკოვის 14 კინოთეატრში. ყველა ამ კინოების სალაროებთან დილიდანვე დიდი რიგები დგას.

საბჭოთა კავშირში

ტულა, 31 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ, საღამოთი სტალინოგორსკის სტალინის სახელობის სახელმწიფო რაიონულ ელსადგურში გამოცდილ იქნა 100 ათასი კილოვატის სიმძლავრის ტურბინი.

ტურბინის ხარისხი საუცხოვოა. ტურბინი თავისი ბრუნვით ორჯერ აღემატება ევროპაში არსებულ ყველა ტურბინს. მისი სასარგებლო კოეფიციენტიც აგრეთვე მნიშვნელოვნად მეტია. სიმძლავრით ტურბინი ორ „ვოლხოვსტროის" უდრის.

მოსკოვი, 31 ოქტომბერი (საკდესი). მოსკოვის ოლქის რაიონებიდან ოქტომბრის დღესასწაულებზე დედაქალაქში ჩამოდის 1500 კოლმეურნე.

გორკი, 31 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ქარხანა „კრასნოე სორმოვომ" კასპიის მხარეში გაგზავნა თავისი პირველი ყინულმჭრელი „სერგო ორჯონიკიძე".

იგი არის კარგად შეიარაღებული მაშველი გემი კასპიის ზღვის სათევზაო სარეწაოთათვის.

კანსკი (კრასნოიარსკის მხარე), 31 ოქტომბერი (საკდესი). საკ. ალკკ 20 წლისთავის აღსანიშნავად კანსკის ხე-ტყის ქარხნის სტახანოველმა მეჩარხემ ამხ. ვ. ი. სავატეევმა 30 ოქტომბერს, ღამით, 7 საათის განმავლობაში 579,67 კუბომეტრი ხე-ტყე დახერხა, რითაც ახალი სრულიად-საკავშირო რეკორდი დაამყარა.

უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია თბილისს მოემგზავრება

საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების მზადების დღეებში მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის წევრებმა წერილით მიმართეს უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას უმაღლესი საბჭოს არჩევნების სანიმუშოდ ჩატარებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის.

სოფელ შრომის კოლმეურნეობის ამ წინადადებამ უკრაინაში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება და გაიმართა საქმიანი მიწერ-მოწერა.

შრომის კოლმეურნეებმა თავიანთ წერილში სთხოვეს უკრაინის კოლმეურნეებს შემოდგომაზე ჩამოსულიყვნენ მათთან სტუმრად და საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში შეემოწმებინათ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

ამჟამად კიევიდან მიღებულია ცნობა, რომ სპეციალური მატარებლით თბილისს გამოემგზავრა უკრაინის სსრ კოლმეურნეთა დელეგაცია 30 კაცის შემადგენლობით.

ნეგრინის სიტყვა

ბარსელონა, 31 ოქტომბერი (საკდესი). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნეგრინმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, მიმართული ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლებისადმი. ნეგრინმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლნი წარმოადგენენ 53 ქვეყანას და რომ მათ ესპანეთის ომში იმიტომ მიიღეს მონაწილეობა, რომ ეს თავის მოვალეობად მიაჩნდათ. დაჰგმო რა „ჩაურევლობის“ კომიტეტის მოქმედება, ნეგრინმა აღნიშნა, რომ ეს კომიტეტი მარტო იმისთვის არსებობდა, რათა დახმარება აღმოეჩინა ესპანელ ფაშისტთა და უცხოელ დამპყრობთათვის. ესპანეთი თვითონ ახდენს უცხოელ მოხალისეთა ევაკუაციას, სთქვა შემდეგ ნეგრინმა, რათა მოუსპოს კომიტეტს იმის საბაბი, რომ მან უარი სთქვას უცხოეთის ჯარის იმ ერთეულთა ევაკუაციაზე, რომელნიც გენერალ ფრანკოს მხარეზე იბრძვიან. ესპანეთის რესპუბლიკა იმისათვის ზრუნავს, რომ ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლთ უფლება მისცენ შევიდნენ სხვა ქვეყნებში და რომ მათ არ სდევნიდნენ ესპანეთის ომში მონაწილეობისათვის. მუსოლინიმ ესპანეთიდან გაიყვანა მწყობრიდან გასული რამდენიმე ათასი ჯარისკაცი.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებულ ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

მდინარე იანძის ხეობაში კვლავ გრძელდება ბრძოლა ხანკოუს სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაესა და დიანის რაიონებში. ამავე დროს იაპონიის ჯარი წინ იწევს ხანკოუდან სამხრეთის მიმართულებით, კანტონ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ. ამჟამად ბრძოლა სიანინის სადგურის მახლობლად გაჩაღდა. იაპონელთა მიერ დაწყებული შეტევა კანტონიდან ჩრდილოეთისაკენ, ამავე რკინიგზის გასწვრივ, ადასტურებს აზრს იმის შესახებ, რომ იაპონელები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ კანტონ-ხანკოუს რკინიგზა და იწყებენ ორი კოლონის შემხვედრ მარშს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

იაპონელთა ერთერთი კოლონა წინ იწევს ხანკოუდან ჩრდილოეთისაკენ. ჩინელი ჯარები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ იაპონელებს სადგურ სიაოგანის მახლობლად და აკავებენ იაპონელთა ცდებს ხელთ იგდონ ეს საკვანძო სადგური.

სამხრეთ ჩინეთში

კანტონიდან იაპონელთა ნაწილები რამდენიმე კოლონით მიიწევენ წინ გუანდუნის პროვინციის შიდა რაიონებისაკენ. იაპონელთა მთავარი ძალები თავმოყრილია შეტევისათვის ჩრდილოეთით ცუნხუასვენ-იუანის გზატკეცილის გასწვრივ. ასი კილომეტრის მანძილზე კანტონის ჩრდილოეთით 1.000 კაცისაგან შემდგარი იაპონელთა კოლონა წააწყდა ჩინელთა სასტიკ წინააღმდეგობას ქალაქ ლიანკოუსთან და, დაჰკარგა რა 300-ზე მეტი ჯარისკაცი, დაიხია დასავლეთისაკენ ქალაქ ფოგანისაკენ.

არის ცნობები იმის შესახებ, რომ იაპონელები ამზადებენ შეტევას მდინარე სიძიანის სათავის მიმართულებით ქალაქ ჯოუსაკენ.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხენანის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩინელთა ჯარმა განდევნა იაპონელები ქალაქ გუშიდან, რომელიც ორ თვეზე მეტს იაპონელთა ხელში იყო.

შანსის პროვინციაში მუშათა პარტიზანული რაზმი 27 ოქტომბერს ისევ შეიჭრა ტაიუანში და ცეცხლი წაუკიდა იაპონელთა ფაბრიკას, რომელიც საჭურველს ამზადებს. ქუჩაში მომხდარი შეტაკების დროს იაპონელებმა 80-ზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგეს.

პან-არაბული ორგანიზაცია ბერლინში

ლონდონი, 30 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, ბერლინში არის პან-არაბული ორგანიზაციის ცენტრი, რომელიც დახმარებას უწევს აჯანყებულ არაბებს პალესტინაში. ამ ორგანიზაციას წევრები ჰყავს არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიაც და ახლო აღმოსავლეთშიაც. ეს ორგანიზაცია ცდილობს, რომ ევროპის ქვეყნებმა მხარი დაუჭირონ პალესტინის, ერაყისა და სირიის ერთიან არაბულ სახელმწიფოდ გაერთიანების გეგმას.

ორგანიზაცია თავის მუშაობას აწარმოებს „გერმანიაში მცხოვრებ არაბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების“ სახით.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის ხელისუფალთა „გმირობა“

პარიზი, 1 ნოემბერი (საკდესი). ესპანიის სააგენტოს სერბერიდან (რესპუბლიკური ესპანეთის საზღვართან) ატყობინებენ, რომ გუშინ საღამოთი იქ მოელოდნენ მატარებელს ინტერნაციონალური ბრიგადების 400 დაჭრილი და ავადმყოფი მეომრით, სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებით, რომელთა ევაკუაციაც ხდება რესპუბლიკური ესპანეთიდან, მაგრამ მატარებელი არ გაუშვეს საფრანგეთში. საფრანგეთის ტერიტორიაზე დაშვებულ იქნენ მხოლოდ ფრანგი ეროვნების მეომრები. დანარჩენი დაჭრილი და ავადმყოფი მეომრები კი „ახალ განკარგულებათა მოლოდინში“ მიიყვანეს პორტ-ბუსში (ესპანეთის ტერიტორიაზე).

მატარებელი ინტერნაციონალური ბრიგადების დაჭრილი და ავადმყოფი მეომრებით გააჩერეს, პორტ-ბუს მახლობლად მდებარე რკინიგზის გვირაბში, რათა მეომრები დაეცვათ მეამბოხეებისა და ინტერვენტების მხრით შესაძლო საჰაერო ბომბარდირებისაგან.

როგორც „პტი პარიზიენი“ იუწყება, ის, რომ საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი სთქვეს ინტერნაციონალური ბრიგადების დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მიღებაზე, თითქოს გამოწვეულია „საფრანგეთის მთავრობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დარღვევით“.

„დიადი განთიადი“

თბილისის კინოსტუდიის ახალი ფილმი

მიხეილ კოლცოვი

ეს მეტად საინტერესო და მეტად თავისებური ფილმია. მის ყურებას რომ იწყებ, სრულიად ვერ წარმოგიდგენია, საით და როგორ მოტრიალდება მოქმედება. შესავალ ნაწილებში მოქმედება სწარმოებს საქართველოში და იმპერიალისტური ომის ფრონტზე, კერენშჩინის პერიოდში. შემდეგ მოქმედება ერთბაშად გადადის პეტროგრადში და იქ ვითარდება ბოლომდე. ამის გამო პირველი ორი ნაწილი რამდენადმე მოწყვეტილია მოქმედების შემდგომ განვითარებას. მაგრამ ისინი, განსაკუთრებით პირველი ეპიზოდი, სურათს თავისებურ, ნაციონალურ კოლორიტს აძლევენ.

რიგითი გმირად სურათში შედის ახალგაზრდა ქართველი გლეხი გიორგი ლუდუშაური. ის უკვე დიდი ხანია ფრონტზეა. იგი ჯარისკაცია, გიორგის კავალერი, უბრალო, გაბედული და მიმზიდველი. ომმა დააშორა იგი სამშობლო სოფელს, დედას, ძმებს. მაგრამ აი უმცროსი ძმა — პავლე, რომელიც აგრეთვე მობილიზებულია, ხვდება იმავე ნაწილში, რომელშიც გიორგია. ეს სასიხარულო შეხვედრა დაემთხვევა მეორე შეხვედრასა და გაცნობას — გიორგი ეცნობა სათნოების დას, ბოლშევიკ ქალიშვილს სვეტლანას, რომელიც ჯარისკაცებს შორის ფარულად ავრცელებს „პრავდას“.

იწყება და სწყდება სამახსოვრო „შეტევა კერენსკისა“ 1917 წლის ივნისში. ლუდუშაური და მეორე ჯარისკაცი, ბოლშევიკი ეროშოვი, მოუწოდებენ ჯარისკაცთა მასას დაანებონ თავი მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებისათვის თავისი სისხლის დაღვრას, მოუწოდებენ მათ დაბრუნდნენ სახლში, თავიანთ ხელში აიღონ მიწა. ფაბრიკები, ქარხნები. იწყება გერმანელ ჯარისკაცებთან დაძმობილება. ორივე მხარეთა სარდლობა სროლას აუტეხს დაძმობილებულებს. მოკლული არიან პავლე. ლუდუშაური და ჩეხი ვიტაჩეკი, გერმანიის არმიის ჯარისკაცი. მათ ერთად ასაფლავებენ და დასაფლავება იქცევა მძაფრ დემონსტრაციად რუსეთისა და გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ქართველი ჯარისკაცის ლუდუშაურისადმი დაპირისპირებულია ქართველი ოფიცერი, თავადი მიქელაძე — მსხვილი მემამულე, მილიტარისტი. ეს მისი ბრძანებით დახვრიტეს ტყვიამფრქვევის ცეცხლით დაძმობილებული ჯარისკაცები. მაგრამ იმპერიალისტური ომი უკვე კვდება. მუშებსა და გლეხებს აღარა სურთ ერთმანეთის მოსპობა კაპიტალისტების სასიხარულოდ. ფრანგ რეფორმისტ ტომასთან, მენშევიკ მინისტრ წერეთელთან და გენერალ პოლოვცევთან ერთად თავადი მიქელაძე იძულებულია წავიდეს ფრონტიდან.

ჯარისკაცები ლუდუშაური, ეროშოვი, პანასიუკი მიდიან დელეგატებად პეტროგრადში, „პრავდის“ რედაქციაში. აქ, **სტალინთან,** მათ მოაქვთ ფრონტზე შეგროვილი, ჯარისკაცების მიერ ბოლშევიკური გაზეთის ფონდში შეწირული გიორგის ჯვრები. ამხანაგი **სტალინი** ესაუბრება ფრონტელებს, ელაპარაკება მათ რევოლუციის პერსპექტივებზე, მუშათა კლასის, გლეხობის ამოცანებზე. იგი გააცნობს მათ **ლენინს.** ამ მომენტიდან გიორგი და სვეტლანა და მათი მეგობრები ეროშოვი და პანასიუკი ხვდებიან რევოლუციურ მოვლენათა შუაგულში. მათი პირადი ბედიღბალი, მეგობრობა და სიყვარული მჭიდროდ არიან გადახლართული რევოლუციის ბედიღბალთან, ბოლშევიკური პარტიის ბრძოლასთან.

ჩვენ ვხედავთ მათ **ლენინისა** და **სტალინის** გარშემო 1917 წლის ყველაზე მძიმე, ხოლო შემდეგ ყველაზე სასიხარულო და დიად დღეებში. ჩვენ ვხედავთ კონტრრევოლუციის დროებით ზეიმს ივლისში, **ლენინს,** რომელიც არალეგალურად ცხოვრობს, **სტალინს,** რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის მეექვსე ყრილობას, ანადგურებს მხდალებს და გამცემლებს, ვხედავთ პეტროგრადს ოქტომბერში, აჯანყებისა და დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღეებში.

მოვლენათა მთელ ამ ეპოპეას ფილმი გვიჩვენებს ქრონოლოგიისა და წვრილი დეტალების აბსოლუტური სიზუსტის დაუცველად, მაგრამ მთლიანად თვალსაჩინოდ და მართლად. სცენარის ავტორებმა (გ. ცაგარელი და მიხეილ ჭიაურელი) დიდი ტაქტით დაუკავშირეს ნამდვილი საერთო-პოლიტიკური მოვლენები ცალკეულ მხატვრულ-რეალისტურ ეპიზოდებს. ამიტომ სავსებით მართებულად გვეჩვენება, მაგალითად, ისეთი სცენები, როგორც ის სცენაა, სადაც **ლენინი, სტალინთან** ერთად ინახულებს რა დაჭრილ ლუდუშაურს, სვეტლანას დედასთან ექიმად გამოიყვანს თავს და გამოსწერს „რეცეპტს“ — „სვეტლანა გათხოვდეს გიორგიზე“.

ფილმის ორი მსახიობის წინაშე დასახული იყო უძნელესი ამოცანა **ლენინისა და სტალინის** გამოსახვა. ეს მათ ძალიან კარგად შესძლეს. ახალგაზრდა მსახიობი ქ. მიუფკე ზოგიერთ ადგილას განსაცვიფრებელ შედეგებს აღწევს. მხოლოდ ხმა და დიქცია მიუფკეს ზედმეტად მკვეთრი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი აქვს; **ლენინი** ყოველთვის ლაპარაკობდა დიდი ტემპერამენტითა და მგზნებარებით, მაგრამ შეუდარებლად უფრო წყნარად და მუსიკალურად. არტისტმა მ. გელოვანმა დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ ნიჭიერად გადაეცა ეკრანზე ამხანაგ **სტალინის** სახე. გელოვანი ხშირად ახერხებს იოსებ ბესარიონის-ძის დამახასიათებელი მოძრაობების, ჟესტების და ინტონაციების გადმოცემას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ორივე ახალგაზრდა მსახიობს დაეხმარა მიხეილ ჭიაურელის უდიდესი რეჟისორული მუშაობა.

გიორგი ლუდუშაურს მეტად ძლიერად, გულთბილად და მომხიბლველად თამაშობს ს. ზაღაშვილი. ეს ნიჭიერი მსახიობის დიდი მიღწევაა.

თამარა მაკაროვა თავისი ნიჭისა და თავის თავზე დიდი, მუდმივი მუშაობის მეოხებით „შვიდი მამაცის“, „კომსომოლსკისა“ და „დიადი განთიადის“ შემდეგ გამოდის ყველაზე პოპულარული საბჭოთა კინომსახიობი ქალების რიგში.

სხვა როლები ფილმში უფრო ნაკლები ხარისხის გამოვიდნენ. ვ. მატოვი თამაშობს ეროშოვს მეტად პლაკატურად, შაბლონურად, იმ უკვე დამკვიდრებული, „სათნო“ ხმითა და მიმიკით, რომლითაც აგიტფილმებში ხელაღებით თამაშობენ ბოლშევიკებს. მეტად კარიკატურობს მსახიობი, რომელიც გამოსახავს ფრანგ სოციალ-შოვინისტ ალბერ ტომას. უკეთესად გამოუვიდა მ. ჩიხლაძეს პოლკოვნიკი მიქელაძე. დანარჩენი სახეები ნაკლებად ამახსოვრდება მაყურებელს.

უნდა აღვნიშნოთ ფილმის დამდგმელის მიხეილ ჭიაურელის კარგი მუშაობა, რომელმაც დასძლია ყველა სიძნელე და თბილისის პატარა კინოსტუდიაში შექმნა თვალსაჩინო, ფართო გაქანების ოსტატური კინომატოგრაფიული ნაწარმოები. „დიად განთიადს“ დიდი ინტერესითა და მღელვარებით ნახავს მთელი საბჭოთა კავშირის მაყურებელთა უდიდესი მასა.

(„პრავდა“, 31 ოქტომბერი — ბილდაპარატით „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

მოსახლეობის აღწერის მუშაკთა მოსამზადებელი რესპუბლიკური კურსების მასწავლებელი გ. ფერაძე (საქართველოს მოსახლეობის აღწერის ბიუროს უფროსის თანაშემწე) თბილისის მოსახლეობის აღწერის ხელმძღვანელ მუშაკებს აცნობს სააღწერო ბარათების შევსების წესს.

ფოტო ბუდეშტკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ხასანის გმირები

ივანე მოშლიაკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ხასანის ტბის რაიონში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ამხ. ივანე ნიკონის-ძე მოშლიაკს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება.

ამხ. მოშლიაკი № მსროლელთა პოლკის პარტბიუროს პასუხისმგებელი მდივანია. იგი იაპონელთა სამხედრო ხროვის მიერ მოწყობილი პროვოკაციის პირველსავე დღეებში წავიდა ბრძოლაში მესამე ათასეულის მეომრებთან ერთად. მან ზაოზერნაიას მაღლობზე რიგითი მეომრებს პირადი მაგალითით უჩვენა, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს ბრძოლაში ნამდვილი ბოლშევიკი, პარტიული ხელმძღვანელი.

პარტიამ მას დაავალა საბრძოლო ოპერაციების წარმატების პოლიტიკურად უზრუნველყოფა. ეს რთული ამოცანა ამხ. მოშლიაკმა კომუნისტებისა და კომკავშირელთა დახმარებით მშვენივრად შეასრულა. ბრძოლაში პარტბიუროს მდივანი მიდიოდა ბოლშევიზმის ბასრი იარაღით, რომელსაც იგი საუკეთესოდ ათავსებდა სამხედრო ხელოვნებასთან.

№ პოლკთან არის დაკავშირებული ამხ. მოშლიაკის ცხოვრების საუკეთესო წლები. ამ ნაწილებში იგი 9 წელიწადი მუშაობს განუწყვეტლივ. წინათ ამხ. მოშლიაკი თავის მამასთან ერთად საქონელს მწყემსავდა, შემდეგ კი მოჯამაგირეობდა.

1929 წელში გაიწვიეს წითელ არმიაში. რიგითი მეომრიდან სულ მალე გახდა ლეიტენანტი. იგი დიდი გატაცებით ეუფლებოდა სამხედრო ცოდნას. ამხ. მოშლიაკმა შესანიშნავად გამოიყენა ბრძოლაში სამხედრო ცოდნა.

პარტიული ორგანიზაციის მოთხოვნა — გავუფრთხილდეთ ადამიანებს, გავუფრთხილდეთ ძალებს — ბრძოლაში კანონად გადაიქცა. მართლაც, პოლკმა მკაცრ შეტაკებებში შეინარჩუნა თავისი ძალები შემდგომი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მეომრები კარგად ხედავდნენ, თუ როგორ სწრაფად ერკვეოდა ამხ. მოშლიაკი ყოველგვარ საბრძოლო ვითარებაში. ბრძოლაში დაიჭრა წითელარმიელი კორპეევი. მოშლიაკმა აიღო მისი შაშხანა და წითელარმიელებთან ერთად შეუპოვარი სიზუსტით ურტყამდა მოწინააღმდეგეებს.

ნაწილის საუკეთესო სნაიპერს წყობიდან გამოჰყავდა იაპონელი ოფიცრები. მტრის ცეცხლი თანდათან სუსტდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილის ყველა კომუნისტი დაეუფლა ზუსტი სროლის ტექნიკას. საბანაკო სწავლების დღეებში პარტიული ბიურო ყოველმხრივ ცდილობდა, რომ თვითეული კომუნისტი გამხდარიყო სნაიპერი. ხასანის ბრძოლაში ბოლშევიკ სნაიპერთა ტყვიები სერიოზულ ზიანს აყენებდნენ იაპონელ პროვოკატორებს. ამხ. მოშლიაკი ორჯერ იყო დაჭრილი — მხარში და თავში. მიუხედავად მწვავე ტკივილებისა, ამხ. მოშლიაკმა არ დასტოვა ბრძოლის ველი, იგი სამჯერ გადავიდა შეტევაზე და თავისი სიმამაცით აღტაცებას იწვევდა ყველა მებრძოლში. ერთერთი შეტაკების დროს დაიჭრა ათასეულის მეთაური როზოვეევი. მოშლიაკმა თავის თავზე აიღო ათასეულის მეთაურობა. მან აქაც გამოამჟღავნა მეთაურ-ორგანიზატორის შესანიშნავი უნარი. კარგად იცნობდა რა მეომართა პირად თვისებებს, ადვილად სწყვეტდა საბრძოლო ამოცანებს.

6 აგვისტოს მოშლიაკმა თავისი ათასეული შეტევაზე გადაიყვანა ძახილით — „ამხანაგ სტალინისათვის, ხიშტებზე, ჩემთან“. მეომრები ერთსულოვნად გაჰყვნენ თავის უშიშარ მეთაურს. ბოლშევიკური პოლკი წარმატებით ანადგურებდა მტრებს ხიშტებით და ცეცხლით. მოშლიაკი პირველი ავიდა მაღლობზე, მან პირველმა დაარჭო ზაოზერნაიას მაღლობზე სოციალისტური სამშობლოს წითელი დროშა.

პეტრე ტერეშკინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხასანის ტბის რაიონში მომხდარ ბრძოლების დროს გამოჩენილ გმირობისა და მამაცობისათვის სსრ კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭა ლეიტენანტ **პეტრე თედორესძე, ტერეშკინს.**

აყვავებულ შორეულ აღმოსავლეთის ქალაქებსა და სოფლებში ყველგან გაისმის ამ უშიშარ გმირ მებრძოლის ქება-დიდება. ეს ლეიტენანტი ტერეშკინია, რომელმაც მესაზღვრეთა პატარა ჯგუფთან ერთად პირველად გადაიტანა იაპონელ ბანდიტების შემოტევა 31 ივლისს ღამით ზაოზერნაიას მაღლობზე.

სწორედ ამ პირველ ღამესვე იგრძნეს იაპონელმა ბანდიტებმა ჩვენი მესაზღვრეების სიძლიერე, საბჭოთა იარაღის ძალა.

მამაცი მესაზღვრეები გათენებამდე თავგანწირულად იბრძოდნენ იაპონელი ბანდიტების შესამუსრავად.

სამი მხრიდან გარშემორტყმული მებრძოლები გმირულად იგერიებდნენ მტრის შემოტევას, გადადიოდნენ ხელჩართულ ბრძოლაში.

— იაპონელები ზურგიდან გვივლიან, — აცნობეს ტერეშკინს.

— აცნობეთ ჩვენებს, რომ მოგვიახლოვდნენ — უბრძანა ტერეშკინმა.

„ამხანაგ **სტალინისათვის,** სამშობლოსათვის, წინ, ამხანაგებო!“ — მოუწოდებდა მესაზღვრეებს ლეიტენანტი. გამხნევებულნი ამხანაგ სტალინის სახელით, მებრძოლები „ვაშას“ ძახილით გადადიან მტრის წინააღმდეგ შეტევაზე.

ტყვია სეტყვასავით წამოვიდა. მტრის ძალები გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო.

ტერეშკინი ჩვენს ტყვიამფრქვევს მიუახლოვდა. მარცხნიდან მოისმოდა იაპონელთა „გოჩკისის“ კაკანი. ტერეშკინმა შეამჩნია რა ეს, ტყვიამფრქვევი დაუშინა მტერს. „გოჩკისი“ დადუმდა.

ორჯერ დაჭრილი ლეიტენანტი არ სტოვებდა ბრძოლის ველს. მარცხენა მკლავიდან სისხლი სდიოდა, თითები აღარ ემორჩილებოდნენ.

— ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენ დაჭრილი ხართ, — მიმართა ტერეშკინს მებრძოლმა შმაკოვმა.

— მე განვაგრძობ ბრძოლას მეორე ხელით — ამაყად უპასუხა ტერეშკინმა.

— ცეცხლი! ცეცხლი! მომიმარჯვეთ ლენტი. ასე განაგრძობდა თავგანწირულ ბრძოლას, ვიდრე ლეიტენანტი მერვედ არ დაიჭრა. ამხ. ტერეშკინმა კიდევ სცადა ძალა მოეკრიბა, მაგრამ ველარ შესძლო. იძულებული გახდა წასულიყო ბრძოლის ველიდან.

ჭრილობა თანდათანობით უშუშდება. ტერეშკინი აღსავსეა სურვილით დაუბრუნდეს სოციალისტურ სამშობლოს საზღვრებს, თავის მებრძოლ ამხანაგებს.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ზაგოტზერნოს“ კანტორა ცუდად მუშაობს“

„კომუნისტის“ ა.-წ. 20 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ზაგოტზერნოს“ კანტორა ცუდად მუშაობს“. წერილში აღნიშნული იყო „ზაგოტზერნოს“ საქ. კანტორისა და ნავთლუღის ბაზის უმსგავსო მუშაობის ფაქტები და ზოგიერთ რაიონში პურის ჩაბარებაში არსებული ჩამორჩენის მიზეზები.

დამზადებათა სახ. კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. **ჭოლოკავა** გვატყობინებს: წერილში მოყვანილი ფაქტები სისწორეს შეიცავენ. „ზაგოტზერნოს“ ცენტრალურ აპარატში დღემდე მართლაც აქვს ადგილი საქმისადმი ბიუროკრატიულ-უსულგულო დამოკიდებულებას. ზოგიერთი კოლმეურნეობის მიერ პუნქტებზე მოზიდული მარცვლეულის მიღების გაჭიანურების ფაქტებს. „ზაგოტზერნოს“ საქ. კანტორამ (მმართველი ამხ. ცანავა) თავიდანვე ვერ უზრუნველჰყო კოლმეურნეობებისათვის ორგანიზებული დახმარების გაწევა მარცვლეულის გადასამუშავებლად. ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში ზემდგომი ორგანოები ჩაერივნენ.

„ზაგოტზერნოს“ ნავთლუღის ბაზის გამგე ამხ. ხარაძე ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობდა ბაზის მუშაობას და ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორიცაა პურის მიღება, კოლმეურნეობებთან ცოცხალი კავშირის დაჭერა, გადააბარა თავის მოადგილეს და ტექნიკურ აპარატს. ამჟამად გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ხარაძის მუშაობის შესამოწმებლად, რის შემდეგ ეს საკითხი განსახილველად დაისმება სადირექტივო ორგანოებში.

დამზადების ხაზით ცუდად მუშაობისათვის მოხსნილი არიან სამუშაოდან დამზადებათა სახ. კომისარიატის რწმუნებულები ბორჩალოს რაიონში აგასიევი, გორში — არბოლიშვილი, ყვარელში — მინასოვი, სიღნაღში — ახვლედიანი.

სიმინდი ფუჭდება

(თიანეთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ხევსოფლის კოლმეურნეობა „ჯეჯილის“ გამგეობა და მისი თავმჯდომარე ამხ. კ. ახალაური უპასუხისმგებლობას იჩენენ სიმინდის გარჩევისა და დაბინავების საქმეში. 60 ჰექტარის მოსავალი უპატრონოდ ჰყრია და ნადგურდება.

ტაროს გარჩევაზე 120 კოლმეურნე უნდა მუშაობდეს, მუშაობს კი 4-5 კაცი და ისინიც დღეში მხოლოდ 5-6 საათს. შრომის დისციპლინა დაცემულია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. ახალაურმა, მიუხედავად მტს-ის დირექტორის მიერ გაფრთხილებისა, ამ გახურებული მუშაობის დროს მიატოვა კოლმეურნეობა და თბილისს წავიდა.

კოლმეურნეობა „ჯეჯილში“ ამახინჯებენ სტალინურ წესდებას, სიმინდის ტაროების გარჩევაზე მომუშავე კოლმეურნეებს შრომადღეების დაწერის ნაცვლად ჩალას აძლევენ. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ სიმინდის გარჩევაზე კოლმეურნეები უხალისოდ მუშაობენ და დღეში ნაცვლად 7-8 ტონისა 2-3 ტონას ძლივს არჩევენ.

მსგავსი მდგომარეობაა სოფ. თოლენჯის ლ. ბერიას სახელობისა და სოფ. ღულელების „ხევსურთა გუთნეულის“ კოლმეურნეობებშიც.

რატომ მიწგანი და მტს-ი არ მიაქცევენ ყურადღებას ამ არანორმალურ მდგომარეობას?

გ. ხინგავა.

ბორის კანდიდოვი

ანაფორიანი ჯაშუშები

ომის ფაშისტ გამჩაღებლებს მრავალი ანაფორიანი, სუტანიანი და მანტიანი მოკავშირე ჰყავთ. მითიური ქრისტეს და იეგოვას, ალაჰისა და ბუდას სახელით სხვადასხვა კულტების მსახურნი აკურთხებენ ფაშისტ აგრესორების ყველა პროვოკაციას.

ჰიტლერის ერთგული მსახური პასტორი გოსენფელდი სწერდა: „საბრძოლოდ გამოწყობილი ნაციონალ-სოციალისტი, მოიერიშე — ეს არის ღვთისაგან შთაგონებული ადამიანი“.

კათოლიკე ეპისკოპოსთა ხელმძღვანელი ზედაფენა ავსტრიაში დაეხმარა ჰიტლერს დაეპყრო ეს ქვეყანა და შეექმნა ომის ახალი კერა.

იტალიაში დამყარებულია კავშირი მუსოლინისა და პაპა პიუს XI-ს შორის. კათოლიციზმის მეთაური დახმარებას უწევდა მტაცებლურ ომს აბისინიელი ხალხის წინააღმდეგ, ხოლო ამჟამად ხელს უწყობს იტალია-გერმანიის ინტერვენციას ესპანეთში.

1938 წლის იანვარში რომში შესდგა 2.000 კათოლიკე ხუცესის ყრილობა. ამ შავი შეკრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ყოველმხრივ დაეხმარონ მშრომელთა ჩაგვრის, შიმშილისა და ომის ფაშისტურ სისტემას. მუსოლინი კმაყოფილი დარჩა ხუცესთა ლაქიობით და ეკლესიის მსახურნი თავის სასახლეში მიიწვია.

ესპანეთის ამბები ყოველდღე გვიჩვენებენ ჯვარისა და სვასტიკის მტკიცე კავშირს. ეკლესიის თავადები აკურთხებენ ფაშისტ ავაზაკების სიმხეცეს და ხოტბას ასხამენ ბანდიტ ფრანკოს. ტროცკისტებთან — „პოუმელებთან“ ერთად, მრავალი ხუცესი ასრულებს მეამბოხეთა ჯაშუშურ დავალებებს.

იაპონიის სამხედრო ხროვის მტაცებლური და გამანადგურებელი ომი ჩინელი ხალხის წინააღმდეგ ხუცესების მონაწილეობით სწარმოებს. ამზადებდნენ რა თავდასხმას, ბუდისტთა ჯაშუში ხუცესები იაპონელ მზვერავ დოიხარას დავალებით აწარმოებდნენ ჩინელი მოხელეების მოსყიდვას, რომლებიც კაპიტულანტურ პოლიტიკას ატარებდნენ. ხენანის პროვინციაში „გრძელთმიანთა“ ბუდისტური სექტა იაპონიის დაზვერვის მიერ გამოყენებულ იქნა შპიონაჟისა და დივერსიისათვის. 1938 წლის ივნისში ხანკოუში დაპატიმრებულ იქნა იაპონელი ჯაშუში, რომელიც გამოდიოდა ბუდისტთა ბერის სახით.

კაპიტალისტურ არმიებში ამჟამად მრავალი ათასი ხუცესი და სექტანტი მქადაგებელი მსახურობს. ისინი ჯარისკაცებს აძლევენ ფაშისტურ ლიტერატურას და მათ ამუშავებენ ეგრეთწოდებული „სამღვთო“ წიგნების: დაბადების, სახარების, ყურანისა და თალმუდის დახმარებით.

* * *

ჩვენს ქვეყანაში დღემდე არსებობენ ეკლესიის მსახური და სექტანტი კონტრრევოლუციონერები, რომლებიც ჯერ მთლიანად არ გაუნადგურებია საბჭოთა დაზვერვას. ყოველმხრივ ეხმარებიან რა ფაშისტებს, ისინი ცდილობენ დაასუსტონ სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობა და საბრძოლო ძლიერება.

მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა მრავალ ეკლესიაში, ლუთერანთა კირხებში, იუდეველთა სინაგოგებში, ლამაიტების დაცანებში და სექტანტთა სამლოცველოებში სისტემატურად სწარმოებს მტრების საქმიანობა. სამღვდელოებას შორის ბევრია უწინდელი ექსპლოატატორული კლასებიდან და ანტისაბჭოთა პარტიებიდან გამოსული. კულტის მრავალ მსახურს ძირგამომთხრელი მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს. ამ პარაზიტებს და მუქთახორებს სასტიკად სძულთ საბჭოთა ხალხი, მისი მიღწევები და გამარჯვებები. ისინი მზად არიან ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინონ, რომ დააბრუნონ კაპიტალისტების ბატონობა და აღადგინონ თავისი ექსპლოატატორული პრივილეგიები. ამ წრეში აღმოჩენილია მრავალი ჯაშუში, დივერსანტი, ტერორისტი, მომწამვლელი და მკვლელი, რომლებიც ინიღბებიან საეკლესიო ტანისამოსით.

კონტრრევოლუციონერ ხუცესებს დახმარებას უწევენ საზღვარგარეთიდან. ჩვენს გარშემო მყოფი ბურჟუაზიული სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ გააქტიურონ ეკლესიის მსახური ბნელი ძალების ანტისაბჭოთა საქმიანობა. გერმანიიდან და იაპონიიდან, პოლონეთიდან, ინგლისიდან ეკლესიის მსახურთ უგზავნიან ფულს, ფულს, რომელიც გათვალისწინებულია მავნებლური, დივერსიული და პორაჟენცული საქმიანობის გაძლიერებისათვის.

საუცხოოდ ითვალისწინებდნენ რა სსრ კავშირში რელიგიური ორგანიზაციების პოლიტიკურ როლს, ხალხის მოსისხლე მტრები, ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საზიზღარი წინამძღოლები ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა და მათი თანამოაზრეები ცდილობდნენ ეკლესიის ბნელი ძალები გამოეყენებინათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით.

ფაშისტ გადაგვარებულთა საზარელი გეგმა ითვალისწინებდა მრავალ დანაშაულებრივ საქმეს. მტრები ცდილობდნენ დაესუსტებინათ სოციალისტური მეურნეობა, დაენგრიათ საკოლმეურნეო მშენებლობა, ფართოდ გაევრცელებინათ დაავადებანი, მოესპოთ ცხენების სულადობა, შეექმნათ ნგრევა და შიმშილობა.

ასრულებდნენ რა უცხოეთის დაზვერვათა ბოროტ განზრახვებს, ეკლესიის ბნელი ძალები მხარს უჭერდნენ ტროცკისტებსა და ბუხარინელებს. კარელიის ასს რესპუბლიკის პუდოჟის რაიონში მემარჯვენეების ანტისაბჭოთა მავნებლური ბანდის მეთაური იყო ყოფილი მედავითნე ხარლამოვი, რომელიც ინიღბებოდა მოტყუებით მიღებული პარტიული ბილეთით. გაძვრა რა ხელმძღვანელ სამუშაოზე რაიმიწგანში, ეს ხუცეს-ბუხარინელი, მახინჯი, აწყობდა თესლბრუნვის დარღვევას, აწყობდა მიწადაქსაქსულობას, ამცირებდა მოსავლიანობას, ზიანს აყენებდა სოციალისტურ მეცხოველეობას.

კრასნოიარსკის მხარის სოფელ ტაშტიპში ტროცკისტული დივერსიული ჯგუფის აქტიური მონაწილე იყო ხუცესი კორაბკოვი. გაძვრა რა მერძეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობაში, მან დაღუპა 82 ხბო.

საეკლესიო ანაფორაში ხშირად გახვეული არიან გამოცდილი მავნებლები. ლენინგრადის ოლქში გამოაშკარავებული იყო ხუცესი ხ. — კულაკური ესერული პარტიის წევრი 1903 წლიდან. ეს არამზადა 1919 წელს თეთრი ბანდიტების ნარჩენებთან ერთად გაიქცა საზღვარგარეთ. შემდეგში ის უკანვე გადმოვიდა. პირველ ხანებში მოქმედებდა მასწავლებლის სახით, შემდეგ კი დადგა ხუცესად ოსტროვსკის რაიონის ერთერთ ეკლესიაში. აქ მან გაშალა მავნებლური საქმიანობა, შეაგროვა კონტრრევოლუციური ხროვა კულაკების ნაბოლარებისაგან, მაგრამ ბოლოს გამომჟღავნებულ იქნა.

* * *

კომკავშირელ ივანოვისადმი პასუხში ჩვენი გენიალური ბელადი და მასწავლებელი, ამხანაგი **სტალინი** მიგვითითებდა, თუ რამდენად დიდია ომის საფრთხე, სამხედრო თავდასხმის საფრთხე. მშობლიური წითელი არმიის, წითელი ფლოტის, წითელი ავიაციის, თავდაცვა-ავიაქიმის ყოველმხრივ განმტკიცებით ჩვენ ყოველდღე მზად უნდა ვიყოთ ძლევამოსილი წინააღმდეგობის გაწევისათვის.

„საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს“ (ი. სტალინი).

აღმოსავლეთით და დასავლეთით ფაშისტმა აგრესორებმა უკვე მოაწყეს სისხლისმღვრელი ომი.

წარსულის მთელი გამოცდილება და თანამედროვე ამბები უდავოდ მოწმობენ, რომ რელიგიური ორგანიზაციების სახით ფაშისტ აგრესორებს ჰქონდათ და აქვთ ერთერთი უაღრესად მოხერხებული იარაღი თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვების განსახორციელებლად.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ეკლესია მხარს უჭერდა მჩაგვრელებსა და დამპყრობლებს. საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლების წლებში ჩვენ ვხედავდით ეკლესიის მსახურთ ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელთა ბანაკში. ამჟამადაც, საბჭოთა ხალხისადმი ველური ბოროტებით აღსავსენი, ეკლესიის ბნელი ძალები ცდილობენ ჩვენი ძლიერებისა და სიმძლავრის ხელყოფას. ისინი სჩადიან უმძიმეს ბოროტმოქმედებებს, რათა დაარღვიონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა.

ფაშისტთა აგენტების მტრულ საქმიანობას უნდა დავუპირისპიროთ ჩვენი რევოლუციური სიფხიზლე, სიფრთხილე, ყველა ფაშისტ ქვეწარმავალთა შეპყრობისა და მათი დაუნდობლად განადგურების უნარი. ჩვენი მხურვალე სიყვარული მშვენიერი სოციალისტური სამშობლოსადმი, ჩვენი მგზნებარე სიძულვილი საზიზღარი და მუხანათი მტრებისადმი უნდა გამოიხატებოდეს უაღრესად აქტიურ ხელშეწყობაში საბჭოთა დაზვერვისათვის, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოების ქვეყნის აყვავებას.

სწორად დაყენებული ანტირელიგიური მუშაობა ხელს უწყობს ჩვენი თავდაცვისუნარიანობისა და საბრძოლო ძლიერების განმტკიცებას.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მივიღოთ პარტიაში მოწინავე ადამიანები

საქართველოს ბოლშევიკთა XI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე სამტრედიის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიაში მიღების მხრივ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. თუ პარტიაში მიღების განახლების დღიდან XIX რაიონულ პარტკონფერენციამდე პარტიის რიგებში მიღებული იყო პარტიის წევრობის მხოლოდ 23 კანდიდატი და პარტიის წევრებად გადარიცხული იყო პარტიის წევრობის 15 კანდიდატი, მიმდინარე წლის მაისიდან პირველ ოქტომბრამდე სამტრედიის რაიონში პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია 237 კაცი, პარტიის წევრებად გადარიცხულია—67, მთლიანად კი პარტიაში მიღების განახლების დღიდან 1938 წლის პირველ ოქტომბრამდე მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად 265 კაცი, ხოლო წევრად — 82. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც თავდადებული მუშაობით ყოველდღიურად იძლევიან მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებს.

საუკეთესო ადამიანთა შორის პარტიაში მიღებული არიან: საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტახანოველი კოლმეურნე ამხ. მარიამ დუნდუა, სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველები — ამხ. ა. გახოკიძე, რომელიც გეგმას 280 პროცენტით ასრულებს, ს. შენგელია (გეგმას ასრულებს 442 პროცენტით), სამტრედიის სავაგონო დეპოს სტახანოველები — ა. კვანტალიანი (300 პროც.) და ზ. კალანდაძე (150 პროც.), ძაფსაღები ქარხნის სტახანოველი ქალი ამხ. მ. არველაძე (მუშაობდა ორ დაზგაზე, ამჟამად კი სამ დაზგაზე მუშაობს), სტახანოველი კოლმეურნენი, მაგალითად, სოფელ ძველი-სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ამხ. კ. ქართველიშვილი (მიმდინარე წელს გამომუშავებული აქვს 232 შრომადღე), ხიბლარის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ბრიგადირი ზ. ხურცილავა (გამომუშავებული აქვს 295 შრომადღე), სოფელ ღანირის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ წევრი სტახანოველი ქსენია დანელია (გამომუშავებული აქვს 300 შრომადღე) და სხვ.

ახლად მიღებულები დაწინაურებულ იქნენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოზე. მაგალითად, ამხ. ბიქტორ ლიპარტია დაწინაურებულია საორთქლმავლო დეპოს ინსტრუქტორად, ა. ქვანია საორთქლმავლო დეპოს რევიზორად, შ. ჯანაშია — სავაგონო დეპოს საამქროს უფროსად, ა. ადამია — ამავე დეპოს ბრიგადირად, ეთერ ტალაბაძე — ძაფსაღები ფაბრიკის ბრიგადირად, გ. ღვინიანიძე — ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ქსენია დანელია — კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, კოლმეურნეობის რიგითი წევრი კ. ფოცხვერია დაწინაურებულ იქნა ჭაგნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ და სხვ.

პარტიის რიგების ზრდისათვის საუკეთესოდ იბრძვიან საორთქლმავლო დეპოს, კონდუქტორთა რეზერვის, ქალაქის საბჭოს, კულაშის ტერიტორიული, ჯიხაიშის სტალინის სახელობის საკოლმეურნეო და სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ ჩვენს რაიონში ჯერ კიდევ არიან ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებმაც ამ მიმართულებით ვერ მოახდინეს საჭირო გარდატეხა, ვერ დაუახლოვდნენ მასებს და ყურადღების ცენტრში არ აყენებენ პარტიის რიგების ზრდას. ასეთებია, მაგალითად, არტელ „ლესსბიტის“, მაცივრის, „ტრანსტორგპიტის“, ღანირის საკოლმეურნეო და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძაფსაღები ფაბრიკის პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობა ამ მიმართულებით. ამ ფაბრიკის 500 მუშიდან 90 სტახანოველია. ამ საუკეთესო ადამიანებიდან პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია მხოლოდ 8 კაცი და პარტიის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადარიცხულია ორი.

სახარბიელო მდგომარეობა არც „ტრანსტორგპიტის“ პირველადს პარტორგანიზაციაშია (პარტორგი — ამხ. შანიძე). იქ საკმაო აქტივი ჰყავთ, მაგრამ დღემდე არცერთი კაცი არ მიუღიათ პარტიის რიგებში. ასეთივე სურათია „საქხილბოსტნის“ პირველადს პარტორგანიზაციაში (პარტორგი — დუმბაძე), სადაც 300-მდე მუშა-მოსამსახურეა, ხოლო პარტიაში არცერთი კაცი არ მიუღიათ. არტელ „ლესსბიტის“ პარტორგანიზაციას (პარტორგი — რურუა), არტელ „კოლხიდის“ (პარტორგი — პაპავა) და ხიბლარის საკოლმეურნეო ორგანიზაციებს კი ჯერჯერობით პარტიის რიგებში მიღებული ჰყავთ მხოლოდ თითო კაცი.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულთან შედარებით პარტიის რიგების ზრდა დამაკმაყოფილებელია, ამ საქმეში ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობა გვაქვს. კერძოდ, მეტად სუსტია პარტიის რიგებში ქალთა მოზიდვა. პარტიაში 265 ახლადმიღებულიდან მხოლოდ 24 ქალია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამტრედიის რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შეასრულეს ამხანაგ ბერიას მითითება.

ჩვენი რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველგვარი შესაძლებლობა მოეპოვებათ იმისათვის, რომ მიიღონ პარტიაში მოწინავე ქალები.

რაიონის პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს პარტიაში საუკეთესო ტრაქტორისტების, აგრონომების, კოლმეურნეების, მასწავლებლებისა და ექიმების მისაღებად.

უკანასკნელ დრომდე საქ. კ. პ. (ბ) წევრებად და კანდიდატებად მიღებულია 1 ტრაქტორისტი, 3 აგრონომი, 6 აგროტექნიკოსი, 35 კოლმეურნე, კოლმეურნეობის 7 თავმჯდომარე, 17 მასწავლებელი და ერთი ექიმი.

ტრაქტორისტთა, კოლმეურნეთა და სოფლის ინტელიგენციის ასე სუსტად მიღება იმის შედეგია, რომ მტს-ის საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციებმა და რაიკომმა ჯერ კიდევ ვერ გაშალეს სათანადო მუშაობა პარტიის რიგებში სოფლის ინტელიგენციის მიღებისათვის.

რაიონში არიან ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებშიაც დაუშვებლად ჭიანურდება პარტიაში ზოგიერთი ამხანაგის მიღების საქმე. მაგალითად, ძაფსაღები ფაბრიკის მუშას თ. თევზაძეს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შეტანილი აქვს აპრილში, მაგრამ პარტორგანიზაციას ის დღემდე არ განუხილავს. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ღანირის სტალინის სახელობის საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციაშიც (პარტორგი — ბარამიძე), სადაც ოთხი თვის განმავლობაში არ განუხილავთ ამხ. გ. არველაძისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. თხილავას განცხადებები.

ბოლშევიკურად უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიაში მიღების საქმეში შეცდომები რაიონულმა კომიტეტმაც დაუშვა. მაგალითად, პარტიაში მისაღებ ამხანაგთა დოკუმენტები სწორად არ იყო გაფორმებული და ისე გაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

ამჟამად კი პარტიაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტებს ჩვენ გულდასმით და ბეჯითად ვაფორმებთ.

ზოგიერთი კომუნისტი თავდაზღევის მიზნით გაურბის რეკომენდაციის მიცემას. მაგალითად, ზ. შალელაშვილი (კულაშის სარეწაო არტელები) საერთოდ უარს აცხადებს რეკომენდაციის მიცემაზე და ცარიელი დაპირებებით ისტუმრებს რეკომენდაციისათვის მისულ ამხანაგებს. ასეთ განწყობილებებს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

სამტრედიის რაიონის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო გააძლიერებს შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს და უზრუნველჰყოფს პარტიის რიგების ზრდას ლენინ-სტალინის პარტიის ბოლომდე ერთგული ადამიანებით.

ბ. ცქიტიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი.

ემზადებიან თეორიული კონფერენციისათვის

ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პარტკომი ემზადება მეორე თეორიული კონფერენციისათვის. თუ წინა კონფერენციაზე თვითეულ თემაზე ცალკე მომხსენებელი იყო გამოყოფილი, ახლა ოთხი ამხანაგი ამზადებს ერთ თემას: „იტალია-გერმანიის ინტერვენციის წინააღმდეგ ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლის ორი წლისთავი“. მოხსენებას გააკეთებს მხოლოდ ორი, რომლებიც უფრო კარგად იქნებიან მომზადებულნი. ეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მომხსენებლებში.

კარგად ემზადებიან ქართულ ენაზე მოხსენებისათვის ამხ. ალადაშვილი, წიკლაური და ხუციშვილი. ისინი მოხსენებას ამზადებენ თემაზე „ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური და პოლიტიკური მიმოხილვა“. მომხსენებლებს დიდ დახმარებას უწევს ფაბრიკის პარტკაბინეტი. პარტკაბინეტში თეორიული კონფერენციისათვის მოწყობილია გამოფენა.

ზრ. ნანეიშვილი.

1917 წლის ოქტომბრის დოკუმენტები

ვ. ი. ლენინი

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!*

„ბუნება კარებში გააგდე — ის ფანჯარაში შემოფრინდებაო“... როგორც სჩანს, ამ მარტივი ჭეშმარიტების „გავლა“ კიდევ და კიდევ უხდებათ საკუთარი გამოცდილებით ესერთა და მენშევიკთა მმართველ პარტიებს. იკისრეს „რევოლუციური დემოკრატობა“, ჩავარდნენ რევოლუციური დემოკრატების მდგომარეობაში, — იძულებული არიან გააკეთონ დასკვნები, რომლებიც სავალდებულოა ყოველი რევოლუციური დემოკრატისათვის.

დემოკრატია უმრავლესობის ბატონობაა. ვიდრე უმრავლესობის ნებისყოფა კიდევ გამოურკვეველი რჩებოდა, ვიდრე კიდევ შეიძლებოდა, სიმართლის მსგავსების თუნდაც ნატამალის შენარჩუნებით, გამოეცხადებინათ ის გამოურკვევლად, — ხალხს სთავაზობდნენ კონტრრევოლუციონერი ბურჟუების მთავრობას ვითომდა „დემოკრატიული“ მთავრობის სახით. მაგრამ ვადის ეს გადადება არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო. 27 თებერვლის შემდეგ განვლილ რამდენიმე თვეში მუშებისა და გლეხების უმრავლესობის, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ნებისყოფა გამოირკვა არა მარტო ზოგადი ფორმით. ამ ნებისყოფამ გამოხატულება ჰპოვა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მასობრივ ორგანიზაციებში.

როგორ შეიძლება წინააღუდგე სახელმწიფოში მთელი ძალაუფლების ამ საბჭოების ხელში გადაცემას? ეს ნიშნავს სხვას არაფერს, თუ არა დემოკრატიის უარყოფას! ეს ნიშნავს არც მეტსა და არც ნაკლებს—ხალხისათვის ისეთი მთავრობის თავზე მოხვევას, რომელიც აშკარაა ვერც წარმოიშვება და ვერც გასძლებს დემოკრატიული გზით, ე. ი. ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად საყოველთაო - სახალხო არჩევნების გზით.

ფაქტი თვალწინ გვაქვს, რა რიგ უცხაურიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ის ერთის შეხედვით: სწორედ ეს უმარტივესი, უაღრესად თვალსაჩინო, უაღრესად ხელშესახები ჭეშმარიტება **დაივიწყეს** ესერებმა და მენშევიკებმა! მათი მდგომარეობის სიყალბე ისეთია, მან ისე აუბნია მათ თავგზა, ისე დაასხა მათ თავბრუ, რომ მათ არ ძალუძთ „დაიჭირონ“ ეს მათ მიერ დაკარგული ჭეშმარიტება. პიტერში და მოსკოვში არჩევნების შემდეგ, გლეხთა სრულიადრუსეთის საბჭოს მოწვევის შემდეგ, საბჭოების ყრილობის შემდეგ კლასები და პარტიები იმდენად ნათლად, მკაფიოდ, თვალსაჩინოდ გამოირკვნენ მთელ რუსეთში, რომ პირდაპირ შეუძლებელია ამაში ვერ ერკვეოდნენ ისეთი ადამიანები, რომელნიც ჭკუაზე არ შეშლილან, ან განზრახ აბნეულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილან.

კადეტი მინისტრების, ან კადეტური მთავრობის, ანდა კადეტური პოლიტიკის მოთმენა ნიშნავს დემოკრატიისა და დემოკრატიზმის აბუჩად აგდებას. ამაშია წყარო პოლიტიკური კრიზისებისა 27 თებერვლის შემდეგ, ამაშია ჩვენი სამმართველო სისტემის მერყეობისა და ქანაობის წყარო. ყოველ ნაბიჯზე, ყოველდღე და ყოველ საათსაც კი უაღრესად ავტორიტეტული სახელმწიფო დაწესებულებებისა და ყრილობების სახელით მიმართავენ ხალხის რევოლუციურობას და მის დემოკრატიზმს, ხოლო ამავე დროს მთავრობის საერთო პოლიტიკაც და სპეციალურად მისი საგარეო პოლიტიკაც და განსაკუთრებით მისი ეკონომიური პოლიტიკა, — ყოველივე ეს წარმოადგენს რევოლუციურობიდან გადახვევას და დემოკრატიზმის დარღვევას.

მსგავსმა რამემ არ შეიძლება ასე ჩაიაროს.

მსგავსი მდგომარეობის მერყეობის გამოვლინება ხან ერთი ხან მეორე საბაბით გარდუვალია. და ჯიუტობა არცთუ ფრიად ჭკვიანური პოლიტიკაა. ბიძგებით და ნახტომებით საქმე მაინც იქითკენ მიდის, რომ განხორციელდება ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში, რაც ჩვენმა პარტიამ დიდიხანია გამოაცხადა.

ვ. ი. ლენინის სტატია — **„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“** დაბეჭდილი იყო 1917 წელს „პრავდის“ 18 ივლისის ნომერში ხელმოუწერლად.

ეს სტატია შარშან გამოქვეყნდა „პრავდის“ 7 ნოემბრის ნომერში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ წამძღვარებული წერილით.

როგორც გამოირკვა, სტატია ვ. ი. ლენინს დაუწერია 1917 წლის „ივლისის ამბების“ ცხარე დღეებში, როდესაც პეტროგრადის ნახევარმილიონზე მეტი შეიარაღებული მუშა და ჯარისკაცი გამოვიდა ქუჩებში იმ მოთხოვნით, რომ ძალაუფლება საბჭოების ხელში გადასულიყო.

ეს სტატია შესული არ არის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის თხზულებებში.

ი. ბ. სტალინი

რა გვესაჭიროება ჩვენ?

თებერვალში მეფე დაამხეს ჯარისკაცებმა და მუშებმა. მაგრამ, დაამარცხეს რა მეფე, მათ არ ინდომეს ძალაუფლების თავის ხელში აღება. მუშებმა და ჯარისკაცებმა, რომლებსაც ცუდი მოძღვრები — ესერები და მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ, ნებაყოფლობით გადასცეს ძალაუფლება მემამულეებისა და კაპიტალისტების მომხრეებს: მილიუკოვებსა და ლვოვებს, გუჩკოვებსა და კონოვალოვებს.

ეს იყო გამარჯვებულთა საბედისწერო შეცდომა. ამ შეცდომისათვის ისჯებიან ახლა ჯარისკაცები ფრონტზე, მუშები და გლეხები ზურგში.

მეფეს რომ ამხობდნენ, მუშები ფიქრობდნენ, რომ მიიღებდნენ პურსა და სამუშაოს. მაგრამ ნაცვლად ამისა მათ „მიიღეს“ სიძვირე და შიმშილი, ლოკაუტები და უმუშევრობა. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან კაპიტალისტებისა და სპეკულანტების მომხრეები, რომლებსაც უნდათ ძალღონის გამოცლით დაიმორჩილონ მუშები.

მეფეს რომ ამხობდნენ, გლეხები ფიქრობდნენ, რომ მიიღებდნენ მიწას, მაგრამ ნაცვლად ამისა მათ „მიიღეს“ თავიანთი დეპუტატების დაპატიმრება და დამსჯელი ექსპედიციები. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან მემამულეთა მომხრეები, რომლებიც არაფრის გულისთვის არ დაუთმობენ გლეხებს.

მეფეს რომ ამხობდნენ, ჯარისკაცები ფიქრობდნენ, რომ მიიღებდნენ ზავს, მაგრამ ნაცვლად ამისა, მათ „მიიღეს“ გაჭიანურებული ომი, რომელიც ამასთან უნდათ კიდევ გააჭიანურონ მომავალ შემოდგომამდე. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან ინგლის-საფრანგეთის ბანკირების მომხრეები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ არის ომის „მალე“ გათავება, რომლებიც მძარცველურად მდიდრდებიან ომზე.

მეფეს რომ ამხობდა, ხალხი ფიქრობდა, რომ ორი-სამი თვის შემდეგ მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას. მაგრამ დამფუძნებელი კრების მოწვევა ერთხელ უკვე გადაიდო, და ახლა მტრები აშკარად ემზადებიან მისი საბოლოოდ ჩაშლისათვის. რატომ?

— იმიტომ, რომ მთავრობაში სხედან ხალხის მტრები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ არის დამფუძნებელი კრების თავის დროზე მოწვევა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ძალაუფლება დარჩა მემამულეებისა და კაპიტალისტების, ბანკირებისა და სპეკულანტების, ჩარჩებისა და მაროდიორების ხელში,—აი რაშია მუშებისა და ჯარისკაცების საბედისწერო შეცდომა, აი სად არის მიზეზი ახლანდელი უბედურებებისა ზურგში და ფრონტზე.

ეს შეცდომა ახლავე უნდა გამოსწორდეს. დადგა მომენტი, როდესაც შემდგომი დაყოვნება დაღუპვას ემუქრება რევოლუციის მთელ საქმეს.

საჭიროა მემამულეებისა და კაპიტალისტების ახლანდელი მთავრობა შეიცვალოს მუშებისა და გლეხების ახალი მთავრობით...

საჭიროა ახლანდელი ცრუმარქვია მთავრობა, რომელიც ხალხის მიერ არ არის არჩეული და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი არ არის, შეცვლილ იქნას ხალხის მიერ აღიარებული მთავრობით, რომელსაც აირჩევენ მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების წარმომადგენლები და რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ წარმომადგენლების წინაშე.

საჭიროა კიშკინ-კონოვალოვის მთავრობა შეიცვალოს მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების დეპუტატთა საბჭოების მთავრობით.

ის, რაც გაკეთებული არ იყო თებერვალში, ახლა უნდა გაკეთდეს.

ასეთი და მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მოპოვებულ იქნას ზავი, პური, მიწა, თავისუფლება.

— მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, ყაზახებო, ყველა მშრომელნო!

გინდათ თუ არა თქვენ, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ახლანდელი მთავრობის ნაცვლად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს მუშებისა და გლეხების ახალი მთავრობა?

გინდათ თუ არა თქვენ, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ, გლეხების მოთხოვნის თანახმად, გამოაცხადოს მიწაზე მემამულეთა უფლების გაუქმება და მემამულეთა მთელი მიწები გამოუსყიდველად გადასცეს გლეხთა კომიტეტებს?

გინდათ თუ არა თქვენ, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნოს მეფის საიდუმლო ხელშეკრულებები, სცნოს ისინი არასავალდებულოდ და ყველა მეომარ ხალხებს შესთავაზოს სამართლიანი ზავი.

გინდათ თუ არა თქვენ, რომ რუსეთის ახალმა მთავრობამ საბოლოოდ ალაგმოს მელოკაუტეები და სპეკულანტები, რომლებიც განზრახ ამწვავებენ შიმშილსა და უმუშევრობას, ნგრევასა და სიძვირეს.

თუ თქვენ ეს გინდათ, მოიკრიბეთ მთელი ძალღონე, აღსდექით უკლებლივ ყველა, როგორც ერთი კაცი, მოაწყეთ კრებები, აირჩიეთ დელეგაციები და მათი საშუალებით გადაეცით თქვენი მოთხოვნები საბჭოების ყრილობას, რომელიც ხვალ იხსნება სმოლნში.

თუ თქვენ ყველანი იმოქმედებთ ერთსულოვნად და მტკიცედ, ვერავინ გაბედავს ხალხის ნებასურვილისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ძველი მთავრობა მით უფრო მშვიდობიანად დაუთმობს ადგილს ახალს, რაც უფრო ძლიერად, ორგანიზებულად და მძლავრად გამოხვალთ თქვენ. და მაშინ მთელი ჩვენი ქვეყანა გაბედულად და მტკიცედ წავა ხალხებისათვის მშვიდობიანობის, გლეხებისათვის მიწის, დამშეულებისათვის პურისა და სამუშაოს მოსაპოვებლად.

ძალაუფლება მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების დეპუტატთა საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს.

ხელისუფლების სათავეში უნდა იყოს საბჭოების მიერ არჩეული ახალი მთავრობა, რომელსაც გამოსცვლიან საბჭოები, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოების წინაშე.

მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლიან უზრუნველჰყოს დამფუძნებელი კრების თავის დროზე მოწვევა.

1917 წლის 24 ოქტომბრის (6 ნოემბრის) „რაბოჩი პუტ“ 44, ხელმოუწერელი მოწინავე.

თბილისის ეკოვის სახელობის მე-36 სრული საშუალო სკოლის კომკავშირელი-აგიტატორები (მარჯვნიდან) ე. პავლოვი, დ. თუთარაშვილი, ო. ფარქოსაძე კოლექტიურად კითხულობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ნ. ბაიდაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი

ტყიბულის მაღაროელები უკეთესად იმუშავებენ

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგი ლავრენტი ბერია თავის მოხსენებაში ტყიბულის ბოლშევიკების საყურადღებოდ აღნიშნავდა: „ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენს წინაშე დააყენა ამოცანა—უზრუნველვყოთ საკუთარი ნახშირით საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებანი“.

უდიდესია ტყიბულის მაღაროების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ენტუზიაზმი სტალინური დავალების ბოლშევიკურად შესრულებისათვის. „ტყიბულნახშირის“ ტრესტმა პირველად შეასრულა 1938 წლის 9 თვის გეგმა 100,3 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 193.000 ტონა ქვანახშირის ნაცვლად ფაქტიურად 9 თვის განმავლობაში გამოღებულია 193.632 ტონა ქვანახშირი.

„ტყიბულნახშირის“ ტრესტის ყველა მაღაროსა და უბანში ფართოდ გაჩაღდა წინასაოქტომბრო შეჯიბრება. მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და აიღეს ვალდებულებანი, რომ ცვლაში ორ-სამ ნორმას შეასრულებენ.

წინასაოქტომბრო შეჯიბრების პირველივე დღეები ახალი საწარმოო აღმავლობით აღინიშნა. ლენინის სახელობის მაღაროს მოწინავე მნგრეველებმა: ვ. ცირეკიძემ, მ. გვენეტაძემ, ს. ქათამაძემ, გრ. გვენეტაძემ და სხვებმა 4 ოქტომბერს თვითეულმა 3 და 4 ნორმა შეასრულა. ასევე დიდ წარმატებებს მიაღწიეს სტალინის სახელობის მაღაროს მოწინავე სტახანოველმა-მნგრეველებმა: ქს. ბეშკენაძემ, შ. ფურცხვანიძემ, ტურფანოვმა და სხვებმა, რომლებსაც სექტემბრის დავალება ერთი-სამად და უფრო მეტად აქვთ განაღდებული.

ლენინის სახელობის მაღაროში ნგრევის ოსტატი კომუნისტი ამხ. ლავრენტი ცქიფურიშვილი 25 წელზე მეტია სანგრევში მუშაობს. ის საქმიანად გამოეხმაურა ახალგაზრდობის მოწოდებას და სათავეში ჩაუდგა კომკავშირულ ბრიგადას, რომელმაც ინჟ. შ. წამალაშვილის უბანში მოაწყო ლენინური კომკავშირის 20 წლისთავის სახელობის საკანი. კომკავშირულ ბრიგადაში გაერთიანდნენ ახალგაზრდა სტახანოველები: ი. დადუნაშვილი, ს. მურადაშვილი, ა. ჩაფიძე და სხვები, სულ 24 კაცი. ამ ბრიგადამ წლიური გეგმა 4 თვით ადრე შეასრულა. ახლა მათ აიღეს ვალდებულება, რომ ოქტომბრის 21 წლისთავთან დაკავშირებით ოქტომბრის დავალებები 300 პროცენტით შეასრულონ.

კარგად მუშაობს სტალინის სახელობის მაღაროს უბნის უფროსი ინჟინერი ი. ზვიადაძე. იგი დიდი ხანი არაა, რაც საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღეს. ამხ. ი. ზვიადაძე საქმით ამართლებს კომუნისტის საპატიო სახელს, მისი უბანი ყოველთვის მოწინავეა.

ქვანახშირის ფრონტზე მიღწეული წარმატებები პირველ რიგში უნდა აიხსნას მაღაროებში პარტიული მუშაობის გაუმჯობესებით. განუხრელად ვხელმძღვანელობთ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პარტიულ და სამეურნეო სამუშაოებზე დავაწინაურეთ ახალი კადრები, ლენინ-სტალინის პარტიისა და მშრომელთა საქმის ერთგული ადამიანები. სტალინის სახელობის მაღაროს პარტკომის მდივნად წამოყენებულია ამხ. შ. ლაფერაძე. ამავე მაღაროს დირექტორად დაწინაურებულია მოწინავე სტახანოველი მნგრეველი ამხ. აკ. კუბლაშვილი, ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორად მუშაობს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ამხ. გრ. გორგიძე, რომელიც წელს წარჩინებული მუშაობისათვის სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებით დაჯილდოვებულია „მძიმე მრეწველობის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნით. ამავე მაღაროში პარტკომის მდივნად წამოყენებულია ამხ. ირ. გორგიძე. აგრეთვე ცვლისა და უბნის უფროსთა პოსტებზე დაწინაურებული არიან ახალი კადრები, რომლებმაც თავი ისახელეს პრაქტიკულ სამუშაოზე.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ბიუროს 28 ივლისის დადგენილება „ტყიბულნახშირის“ ტრესტის მაღაროებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ“, რომელიც მიღებული იყო საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის დადგენილებათა და ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის № 260 ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად, გადაიქცა მთავარ ღონისძიებად, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ მავნებლობის შედეგთა ბოლომდე ლიკვიდაციას.

წინათ პარტკომები არ იწვევდნენ პარტჯგუფორგანიზატორთა თათბირებს, რის გამო ისინი ვერ ერკვეოდნენ თავიანთ ფუნქციებში. აგრეთვე შეუფერებლად ეძლეოდათ პარტიული დავალებები კომუნისტებს. ასე, მაგალითად, ლენინის სახელობის მაღაროში კომუნისტი ამხ. ნ. გაბადაძე დასახმარებლად მიამაგრეს თანამგრძნობ ამხ. დაკუკინას, მაგრამ ნ. გაბადაძემ ვერავითარი დახმარება ვერ გაუწია მას, რადგან რუსული ენა არ იცის.

ლენინის და სტალინის სახელობის მაღაროების პარტკომები ამჟამად თვეში სამჯერ იწვევენ პარტჯგუფორგანიზატორთა თათბირებს და აძლევენ მათ საჭირო მითითებებს, თუ როგორ და რა აკეთონ. ასეთი მუშაობის შედეგად პარტჯგუფი მნიშვნელოვან ძალად გადაიქცა მაღაროში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა პარტჯგუფების როლი მიწისქვეშა სამუშაოებზე. პარტჯგუფს ამოცანად აქვს დასახული იბრძოლოს ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანების განუხრელად შესრულებისათვის, ამხილოს ანტიმექანიზატორები. სტალინის სახელობის მაღაროში, სადაც კომუნისტთა 65 პროცენტი მიწისქვეშ მუშაობს — 150 პროცენტზე ნაკლებად არ ასრულებენ ნორმას. აქ ყველა კომუნისტი სტახანოველია.

ლენინის სახელობის მაღაროში გააუმჯობესა მუშაობა მიწისქვეშ მომუშავე პარტჯგუფორგანიზატორმა ამხ. ალექსანდრე დარსაძემ, რომელიც ნახშირის ნგრევის გამოცდილი ოსტატია და ნორმებს სისტემატურად 300 და მეტი პროცენტით ასრულებს. 7 ოქტომბერს ამხ. ალ. დარსაძემ დღიური ნორმა 252 პროცენტით შეასრულა. 17 ტონის ნაცვლად მან მოანგრია 42 ტონა ქვანახშირი. ეს წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. იგი მიღწეულ იქნა იმ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად, რომელიც ალ. დარსაძემ 6 ოქტომბერს ჩაატარა. ამ დღეს მან მოახდინა თავისი საკანის რემონტი და მოამზადა იგი შეუფერხებლად მუშაობისათვის: საფუძვლიანად გაამაგრა ორტის პირები, რისთვისაც ჩადგა ოთხი ჩარჩო, გაწმინდა ლიანდაგი 20 მეტრზე, გადააადგილა მტვირთავი მანქანა „პიტკარლოდერი“ და გადაიტანა სამი ვაგონი ქვა, რომ ნახშირი ქვაში არ არეულიყო. აი რამ უზრუნველჰყო 7 ოქტომბერს ამხ. ალ. დარსაძის გამარჯვება.

სტალინის სახელობის მაღაროში პირველადი პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ აწარმოებს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას და ნახშირის ნგრევის ოსტატების მაგალითზე სტახანოველთა და დამკვრელთა ახალი კადრების აღზრდას.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ბიუროს 27 ივლისის დადგენილების საფუძველზე აქ ყოველთვიურად ამოწმებენ სოცშეჯიბრის შედეგებს.

31 აგვისტოს ცნობილმა სტახანოველმა მნგრეველმა ამხ. ქს. ბეშკენაძემ სტახანოვური მოძრაობის სამი წლისთავთან დაკავშირებით ერთ ცვლაში მოანგრია 114 ტონა ქვანახშირი და ნორმა 800 პროცენტით შეასრულა. ჯერ კიდევ ცვლა არ იყო დამთავრებული, რომ ამხანაგ ბეშკენაძის გამარჯვება უკვე მთელმა მაღარომ იცოდა. პარტკომმა მაღაროს პირთან მოიწვია სახელდახელო მიტინგი. მაღაროელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ გამარჯვებულს. ბეშკენაძის მაგალითს ფართოდ გამოეხმაურნენ მაღაროს სხვა მოწინავე მუშები და შემდეგი დღეები მორიგი საწარმოო გამარჯვებებით აღინიშნა.

სტალინის სახელობის მაღაროში სადაც კომუნისტთა უმრავლესობა გვირაბში მუშაობს, ისინი მუშაობენ ყველაზე რთულ და ძნელ სამუშაოებზე და თავიანთი პირადი მაგალითით დიდ ენტუზიაზმს ჰქმნიან უპარტიო მუშებში.

სტალინის სახელობის მაღაროს პარტკომი სერიოზულ მუშაობას ატარებს ამხანაგ კაგანოვიჩის ბრძანების განუხრელად შესრულებისათვის, პარტკომმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ანტიმექანიზატორებს, რის შედეგად უკანასკნელ დღეებში მოსამზადებელ სამუშაოებზე ამუშავებულ იქნა ახალი სამთო მანქანები.

მაგრამ ამ წარმატებათა მიუხედავად მაღაროებში პარტიული მუშაობის დაყენება ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად გამოიყურება ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია. აქ 77 კომუნისტიდან მიწისქვეშ მხოლოდ 39 კაცი მუშაობს. სუსტია პარტჯგუფორგანიზატორების, კერძოდ ამხ. ალ. ხუციბერიძის მუშაობა. მას ხუთზე მეტი დავალება აქვს მიცემული. ამ დავალებათა შესრულება კი მის ძალღონეს აღემატება. აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქალების მიღება პარტიაში. პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე მხოლოდ 2 ქალი არის მიღებული.

ლენინის სახელობის მაღაროს პარტკომი პროფორგანიზაციასთან ერთად სუსტად ხელმძღვანელობს სტახანოვურ მოძრაობას. ეს იმითაც აიხსნება, რომ პარტორგანიზაციასთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებასა და სტახანოვურ მოძრაობას ძალიან სუსტად ხელმძღვანელობს „ტყიბულნახშირის“ ტრესტის გაერთიანებული მაღარკომი. პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ზოგგან არადამაკმაყოფილებელია. მაგალითისათვის, ავიღოთ ლენინის სახელობის მაღაროს ახალი შახტის მშენებლობა. აქ 100 მუშა-მოსამსახურიდან მხოლოდ 56 არის კავშირის წევრი. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სტალინის სახელობის მაღაროს ახალი შახტის მშენებლობაზეც.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 21 სექტემბრის დადგენილებაში მიღწევებთან ერთად ხაზგასმით არის აღნიშნული „ტყიბულნახშირის“ ტრესტისა და რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ეს დადგენილება ტყიბულის მაღაროების მთელ კოლექტივს რაზმავს საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ კაგანოვიჩის ბრძანების ბოლშევიკურად განაღდებისათვის.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანებაში ტყიბულქვანახშირის მუშაობის შესახებ ქვანახშირის ამოღებაში მოპოვებულ თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად აღნიშნულია მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი; სამარცხვინოდ ჩამორჩება მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმების შესრულება, რამაც დიდად შეამცირა სანგრევის საერთო ხაზი, ცუდად სწარმოებს მექანიზმების დანერგვა და გამოყენება. ბრძანებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „საკმაოდ არ არის გაშლილი მასობრივი პოლიტიკური მუშაობა და ბრძოლა შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვისათვის“. ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ეს დირექტივა წარმოადგენს ტყიბულის მაღაროების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის მაღაროს ბოლშევიკთა ბრძოლის გაშლილ პროგრამას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმმა 28 ოქტომბერს სპეციალურად განიხილა საკითხი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებაზე ტყიბულნახშირისა და ტყვარჩელნახშირის მუშაობის შესახებ. პლენუმმა სამართლიანად მიუთითა ტყიბულქვანახშირის მუშაკებს, რომ ისინი თვითდამშვიდებას მიეცენ მოპოვებული მიღწევების გამო, რამაც უკვე უარყოფითი გავლენა მოახდინა მაღაროების მუშაობაზე ოქტომბერში. ტყიბულის რაიონის პარტორგანიზაცია სავსებით გაითვალისწინებს ამ გაკვეთილს და დაუყოვნებლივ დარაზმავს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, ტყიბულის მაღაროების მთელ კოლექტივს, და თავდადებით იბრძოლებს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ სახკომსაბჭოს დადგენილების, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის № 260-№ 422 ბრძანებებისა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უკანასკნელი პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

ტყიბულის ბოლშევიკები საქმით განაღდებენ პარტიის დავალებას და მიაწოდებენ ჩვენს ქვეყანას რაც შეიძლება მეტს ქვანახშირს, რათა შეუფერხებლად იმუშაონ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფაბრიკა-ქარხნებმა.

ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დავალება შესრულებული იქნება. ეს არის ტყიბულის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკთა მტკიცე სიტყვა.

რესპუბლიკური თათბირი საგზაო მშენებლობის საკითხებზე

30-31 ოქტომბერს თბილისში მიმდინარეობდა საქ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად მოწვეული პირველი რესპუბლიკური თათბირი საგზაო მშენებლობის საკითხებზე.

თათბირს ესწრებოდნენ რაიონების საგზაო განყოფილებათა უფროსები, რაისაგზაო ინჟინერები და საგზაო-საექსპლოატაციო უბნების უფროსები.

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსის ამხ. **ა. ცაგურიას** მოხსენება საგზაო მშენებლობის 1938 წლის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

თანამოხსენებებით გამოვიდნენ რაისაგზაო განყოფილებათა გამგეები: სიღნაღისა—ამხ. **ბერიძე**, ახალქალაქისა—ამხ. **ჯეირანიანი**, ბორჩალოსი—ამხ. **იბრაგიმოვი**, თბილისისა — ამხ. **რუხაძე**, ჩოხატაურისა — ამხ. **მახარაძე**, ბაღდათისა—ამხ. **ვაჩნაძე**, აჭარისა — ამხ. **მოწყობილი** და სამხრეთ-ოსეთისა—ამხ. **ჩიაევი**.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **შენგელიამ** (საგზაო მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა), **შამუგიამ** (ზუგდიდი), **შენგარდტმა** (საგზაო სამანქანო სადგური), **კალანდაძემ** (საგარეჯო), **ბერაძემ** (ქუთაისი), **ქუონიამ** (ყარაია), **გერსამიამ** (მთავარი საგზაო სამმართველო), **ლორთქიფანიძემ** (ვანი), **პაპუნაშვილმა** (თელავი), **გოგოლაშვილმა** (თბილისის საგზაო საექსპლოატაციო უბნის უფროსი), **კოჩინაშვილმა** (სახელმწიფო საგეგმო კომისია), **ფეტვიაშვილმა** (კასპი), **გეგენავამ** (მახარაძის რაიონი), **ქემოკლიძემ** (ამბროლაური), **დანგაძემ** (მთავარი საგზაო სამმართველო), **ვალიევმა** (სამხრეთ-ოსეთი), **რამისმირ-სალოღიმ** (ადიგენი), **ბაღდავაძემ** (ლანჩხუთი), **კიზირიამ** (ხობი), **კაზალიკაშვილმა** (ყაზბეგი), **გუგავამ** (ცაგერი), **ცაგარეიშვილმა** (მთავარი საგზაო სამმართველო), **რამიშვილმა** (ლაგოდეხი), **კალანდიამ** (წალენჯიხა), ახალციხის რაისაგზაო განყოფილების გამგემ—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. **ბერიძემ**, **სულთანიშვილმა** (სიღნაღის საგზაო - საექსპლოატაციო უბანი), **ბერიევმა** (თიანეთის საგზაო - საექსპლოატაციო უბანი), **ჩხეიძემ** (გეგეჭკორის რაიონი), **ბოკუჩავამ** (მთავარი საგზაო სამმართველო), **სამსონიძემ** (ქვემო-სვანეთი), **დოლიძემ** (საგზაო კვლევითი სადგური), **ჩინჩალაძემ** (ზესტაფონი), **ცირეკიძემ** (ტყიბული), **კვირკველიამ** (მთავარი საგზაო სამმართველო) და **ზელენოიმ** (აფხაზეთი).

თათბირს ესწრებოდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავარ საგზაო სამმართველოთა წარმომადგენლები—ამხ. **მამაევი** და **ხაჩატურიანი**, რომლებიც მიესალმნენ თათბირს და გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

31 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ცაგურია.

მოსმენილ მოხსენებათა და კამათში გამოთქმული აზრის მიხედვით თათბირმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები შემდგომი მუშაობის გასაძლიერებლად.

თათბირმა მისალმებები გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანს** და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ვ. მ. ბაქრაძეს.**

უკანასკნელი ფოსტა

ექიმი თუ კალამგირობის ოსტატი?

შველად, როცა ბეჭდვა არ იყო გავრცელებული, გადაწერა აღიარებული იყო საპატიო საქმედ. მეცნიერებისა და ლიტერატურის ბევრმა გენიალურმა ქმნილებამ ჩვენამდის სწორედ გადამწერთა უანგარო შრომის შედეგად მოაღწია.

ჩვენს დროში სტამბა ყველგანაა და გადაწერა მაინცდამაინც დიდ ვაჟკაცობად არ ითვლება, მაგრამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების „უფროსი“ (!-) ექიმი ნ. თავაძე ასე როდი ფიქრობს. მან ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 18 ივლისის ნომრიდან სიტყვა-სიტყვით გადასწერა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის ამხ. ო. თოდაძის წერილი და... წარბშეუხრელად, სრულიად უტიფრად თავისი გვარი და ტიტული მოაწერა.

ასეთი „ქმედობა“ საზიანო არ იქნებოდა და, თუ კი ვინმე გაიგებდა, შეიძლება ეს ამბავი უსაქმური კაცის ხელის ფხანად ჩაეთვალა, რომ ექიმ ნ. თავაძეს თავისი „შემოქმედება“ გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ (საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს ორგანო) 27 ოქტომბრის ნომერში არ გამოემზეურებინა.

ჩვენს დროში ასეთ „ქმედობას“ პლაგიატს (ლიტერატურულ ქურდობას, კალამგირობას) უწოდებენ, რისთვისაც დამნაშავეთ სჯიან.

საბჭოების სასახლის მანქანები და მექანიზმები

საბჭოების სასახლე, რომელიც ამჟამად მოსკოვში შენდება, უმსანიშნავესი ნაგებობა იქნება. იგი შეუდარებელი იქნება თავისი სილამაზითა და სიდიდით. სასახლე 40 ათასზე მეტ კაცს დაიტევს. იმისათვის, რომ ამდენ ადამიანს გაეწიოს მომსახურება, საჭირო იქნება დიდძალი ამწევი სატრანსპორტო მოწყობილობა. მარტო მომსვლელთა სასახლეში ასაყვან-ჩამოსაყვანად განზრახულია დაიდგას 135 ესკალატორი და დაახლოებით 200 ლიფტი.

ლიფტები დიდი ზომის იქნება. თვითეული მათგანი დაიტევს 10-დან 20 კაცამდე. ასვლის სიმაღლე იქნება 30-დან 150 მეტრამდე, ხოლო მოძრაობის სისწრაფე—5 მეტრი წამში. ასეთი ექსპრესი ლიფტები მხოლოდ ამერიკაში არის.

გასახდელებში განზრახულია მოაწყონ დაახლოებით 2.500 სექცია; თვითეულ სექციაში — 10-16 მექანიზებული კაბინი იქნება. შნათ ტაბლოზე გამოჩნდება, თუ რომელი კაბინია თავისუფალი. სპეციალური მოწყობილობა გააშრობს ტანისამოსს, თუ იგი წვიმით ან თოვლით იქნება დასველებული.

რთულია მექანიზმები, რომლებმაც მომსახურება უნდა გაუწიონ მაყურებელთა დიდი დარბაზის ასპარეზს. მძლავრი ამწე, რომლის დიამეტრიც 20 მეტრი იქნება, ამოუშვებს ტრიუმიდან (მაყურებელთა დარბაზს ქვეშ) 8 სხვევ ბაქანს. თვითეული მათგანი მანქანათა მთელ სისტემას წარმოადგენს. ერთერთ ბაქანზე დასდგამენ უზარმაზარ ოთხპირ ეკრანს. დანარჩენებზე შეეძლებათ გამოსვლა ნაკრებ ორკესტრებს და 2 ათასი კაცისაგან შემდგარ გუნდს.

საბჭოების სასახლისათვის ყველა მანქანასა და მექანიზმს ჩვენი სამშობლოს ქარხნები დაამზადებენ.

ალბერტ კალმეტი

(1863—1933)

1933 წლის 29 ოქტომბერს პარიზის პასტერის ინსტიტუტმა დაკარგა თავისი სახელოვანი მუშაკი—ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ალბერტ კალმეტი—მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი, ბაქტერიოლოგი და ჰიგიენისტი.

1894 წლიდან კალმეტი მუშაობას იწყებს პასტერის ინსტიტუტში — ლ. პასტერის უახლოესი თანამშრომლის და შემდეგში მისი საქმის სახელოვანი განმგრძობის ემილ რუს ლაბორატორიაში.

უკვე ერთი წლის შემდეგ იბეჭდება კალმეტის პირველი შრომა ცოფის წინააღმდეგ ვაქცინაციის საკითხებზე. შემდეგ წელს იწყება კალმეტის ბრწყინვალე გამოკვლევები გველების შხამების შესწავლის დარგში. ამას მოსდევს ორი შრომა შავ ჭირთან ბრძოლის შესახებ, „სასმელი წყლის ოზონით სტერილიზაციის შესახებ“ (შესრულებულია ჟ. რუსთან ერთად), „ყვავილის დეტრიტის კონტროლის შესახებ“ და მთელი რიგი სხვები. მაგრამ კალმეტის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ღერძს შეადგენდა ბრძოლა ტუბერკულოზის წინააღმდეგ. ის გულდასმით აგროვებდა მასალებს ტუბერკულოზის გავრცელებულობის შესახებ, ყურადღებით შეისწავლა ტუბერკულოზით დასნებოვნების მექანიზმი, ტუბერკულოზის ბაცილების გამოყოფა ორგანიზმიდან. ამ გამოკვლევების საფუძველზე კალმეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტუბერკულოზით ერთხელ დაავადებული რქიანი საქონელი, შემდეგ იზოლირებული განმეორებით დასნებოვნებისაგან, იძენს ტუბერკულოზის კეთილთვისებიან ფორმას, რომელიც იცავს მას თანმიმდევრობითი ინფექციისაგან ბუნებრივი ან ხელოვნური ტუბერკულოზით.

შემდეგი ნაბიჯი იყო ტუბერკულოზური ვაქცინის მიღება; ეს ვაქცინა, ცნობილი „კალმეტ - გერენის ვაქცინის“ სახელწოდებით (გერენი იყო კალმეტის თანამშრომელი), ჯერ ფართოდ გამოსცადეს ცხოველებზე და მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება კალმეტმა, რომ იგი ბავშვებზე გამოეცადათ. კალმეტი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ტუბერკულოზის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი აცრის შედეგების შესწავლას და განსაკუთრებით აფასებდა იმ დიდ მუშაობას, რომელიც ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირში სწარმოებდა. ამ დაკვირვებათა შედეგად კალმეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კალმეტ-გერენის ვაქცინით აცრა იწვევს ბავშვთა საერთო სიკვდილიანობის დაკლებას. პარიზის პასტერის ინსტიტუტთან, სადაც ის 1917 წლიდან დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, მოეწყო მთელი დიდი განყოფილება სპეციალურად ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხის შესასწავლად.

კალმეტის მიერაა დაარსებული პირველი სატუბერკულოზო დისპანსერი (1901 წ. ქ. ლილში). მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში კალმეტი დისპანსერების მშენებლობის თავდადებული პროპაგანდისტი იყო.

კალმეტის კალამს ეკუთვნის ორასზე მეტი მეცნიერული შრომა.

მისი სიკვდილი ღრმა დანაკლისი იყო მსოფლიო მეცნიერებისათვის, კერძოდ პასტერის ინსტიტუტისათვის, რომელმაც კალმეტის სიკვდილიდან ერთი კვირის განმავლობაში (1933 წ. 3 ნოემბერს) დაჰკარგა მეორე თავისი სახელოვანი ხელმძღვანელი—ემილ რუ.

ვ. წ.

„ახალგაზრდობა თვითმფრინავზე“

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველი ოსი კომკავშირელი მფრინავი ქალები, დები განია და კატო თიბილოვები, აჭარელი პარაშუტისტები: განჩინი (გაფრენის წინ) ბ. კვაჭაძე და ი. ინდაროვი (თვითმფრინავიდან გადმოხტომისას). (უკანასკნელი სურათი გადაღებულია მეორე თვითმფრინავიდან 850 მეტრის სიმაღლეზე).

ფოტო ი. იმედაძისა.

ახალი ცხოველები თბილისის ზოოპარკში

ამ დღეებში თბილისის ზოოპარკში, მოსკოვის ცენტრალური ზოოპარკიდან ჩამოიყვანეს ცხოველთა ახალი პარტია.

პირველადაა თბილისში კენგურუ (ჩანთოსანი ცხოველებიდან), რომლის სამშობლოა ავსტრალია. ჩამოყვანილია აგრეთვე აფრიკის გარეული დიდეშვებიანი ღორი, ჩრდილოეთის დედალ-მამალი ირმები, რომელთა დამახასიათებელ თვისებას შეადგენს რქები ორივე სქესისათვის. ჩვენში ამ ცხოველების ჩამოყვანა საინტერესოა აკლიმატიზაციის თვალსაზრისით.

ისტორიის მეთოდური სახელმძღვანელო

არასრული საშუალო სკოლების მე-5, 6, 7 და მე-8 კლასებში სახელმძღვანელოების უქონლობის გამო განსახკომის მიერ დროებით დაშვებული იყო სსრკ ისტორიის სწავლება. განსახკომის ბრძანებით მიმდინარე წლის მეორე მეოთხედიდან შემოღებული იქნება მსოფლიო ისტორიის კურსის სწავლება განსახკომის მიერ 1938 წლისათვის გამოცემული პროგრამების მიხედვით.

სათანადო სახელმძღვანელოების მიღებამდე მასწავლებლებმა სახელმძღვანელო მასალად უნდა გამოიყენონ რსფსრ-ის განსახკომის მიერ გამოცემული კრებული „ისტორიის მეთოდური სახელმძღვანელო“.

განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს დაევალა 5 ნოემბრამდე უზრუნველჰყოს ხსენებული კრებულის თარგმნა და სახელგამისათვის გამოსაცემად გადაცემა, ხოლო წიგნის გამოცემამდე გაზ. „საბჭოთა მასწავლებელში“ მოთავსებული იქნება მასალები ცალკე კლასებისათვის.

კრებულის რედაქტორობა დაკისრებული აქვს განსახკომის მოადგილეს ამხ. ლ. გეგეშიძეს.

ახალი სკოლები

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მომავალი სასწავლო წლისათვის თბილისში ააგოს რამდენიმე ახალი სასკოლო შენობა. ოთხი სასკოლო შენობისათვის უკვე შერჩეულია მიწის ნაკვეთები. ეს ოთხი ახალი სასკოლო შენობა აგებული იქნება — ნავთლუღში სატომატო ფაბრიკის მახლობლად, საბურთალოზე დამკვრელთა საცხოვრებელი კვარტალის გვერდით, ღრმაღელეში და ერთიც კიროვის რაიონში.

საქართველოს სახკომსაბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა ახალი სასკოლო მშენებლობის დასაწყებად 1.500.000 მანეთის გადადების შესახებ, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე შეიძინონ და საამშენებლო ნაკვეთებზე მიზიდონ სამშენებლო მასალა.

ახალი სასკოლო მშენებლობისათვის მეთვალყურეობის გაწევა დაკისრებული აქვს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებას.

მთვარის სრული დაბნელება

7 ნოემბერს მოხდება მთვარის სრული დაბნელება. შუაღამის 12 საათსა და 41 წუთზე (ღამით 7-დან 8 ნოემბრამდე) ადგილობრივი დროით მთვარის დისკოს აღმოსავლეთიდან (მარცხნიდან) ჩრდილი მოადგება და თანდათანობით გადაივლის მთელ დისკოზე. 1 საათსა და 45 წუთზე მთვარე სრულიად დაიფარება ჩრდილით და ასე დარჩება იგი 3 საათსა და 8 წუთამდე, როცა ჩრდილი დაიწყებს მოცილებას და ერთი საათისა და ოთხი წუთის შემდეგ იგი სრულიად მოშორდება მთვარის დისკოს დასავლეთიდან (მარჯვენიდან). ამგვარად ეს მოვლენა სამსაათნახევარზე მეტ ხანს გასტანს. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩრდილის გარდა მთვარეზე ე.-წ. „ნახევარჩრდილიც“ გაივლის (რაც უფრო ნაკლებად შესამჩნევია თვალისათვის), მთელი მოვლენა ხუთსაათნახევარს გრძელდება, სახელდობრ, 11 საათისა და 39 წუთიდან 5 საათსა და 14 წუთამდე.

მთვარის დაბნელების მიზეზი ის არის, რომ დედამიწა და მთვარე „ბნელი“ სხეულებია, მათ საკუთარი სინათლე არა აქვთ, მათ მზე ანათებს და დედამიწისა და მთვარის სივრცეში მოძრაობისას დროგამოშვებით მთვარე დედამიწის ჩრდილში შეიჭრება ხოლმე (ამდროს მზე, დედამიწა და მთვარე ერთ სწორ ხაზზე მდებარეობენ და დედამიწა მზესა და მთვარეს შუა არის მოქცეული).

მიუხედავად იმისა, რომ სრული დაბნელების დროს მთვარე მთლიანად არის მოქცეული დედამიწის ჩრდილში, იგი მაინც მოსჩანს ცაზე, როგორც მუქი ფერადი დისკო. იგი ხან მუქი მოლურჯო, ხან მოწითალო და სხვა ფერისაა. ეს იმიტომ ხდება, რომ მთვარის ზედაპირს მაინც აღწევენ მზის ის სხივები, რომელნიც დედამიწის ატმოსფეროს მაღალ ფენებში გაივლიან, მასში გარდატყდებიან და ასე „შემოვლით“ მთვარისაკენ მიიმართებიან.

სწორედ ამიტომ არის მთვარის დაბნელების მეცნიერული შესწავლა საინტერესო: დაბნელებული მთვარის დისკოს განათება, მისი ინტენსივობა და ფერი წარმოდგენას გვაძლევს დედამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენების სიმკვრივეზე, ტემპერატურაზე და სხვ., ანუ, სხვა სიტყვებით, მთვარის დაბნელების შესწავლა გვშველის სტრატოსფეროს შესწავლაში. ეს უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, ფრიად მნიშვნელოვანი საქმეა.

ცნობისმოყვარე მოქალაქე, კოლმეურნე ან მოსწავლე, რომელიც ამ დაბნელების თვალყურის დევნას მოისურვებს, უნდა ეცადოს ზუსტად აღწეროს დაბნელებული მთვარის ფერი. ეს დახმარებას გაუწევს მეცნიერებას იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მოღრუბლულობის გამო არ მოხერხდება ობსერვატორიებში ზუსტი იარაღებით დაკვირვების ჩატარება.

დაბნელება გამოჩნდება საქართველოს ყველა რაიონში, სადაც კი ცა მოწმენდილი იქნება. იქ, სადაც ღრუბლიანი იქნება, ადვილად შენიშნავენ დაბნელების საათებში საერთო „ჩამოღამებას“.

ევგ. ხარაძე

აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი

ბოქსის ჩემპიონთა შეხვედრა

მოსკოვი, 1 ნოემბერი (**ბილდაპარატით, ჩვენი საკ. კორ.**). გუშინ საკ. ალკკ 20 წლისთავის პატივსაცემად ცირკის შენობაში გამართულ სასპორტო დღესასწაულზე მოხდა შეხვედრა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონისა ბოქსში ნიკ. კოროლიოვისა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ბოქსიორთან — რუდომიოტკინთან. სამი რაუნდის შემდეგ გამარჯვება მიესაჯა კოროლიოვს.

ტყვარჩელნახშირი. კინოთეატრის შენობა აკარმარაში.

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ახალი შენობა

საბურთალოზე (ზოოპარკის გვერდით) შენდება თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ახალი 5-სართულიანი შენობა. შენობა ორი კორპუსისაგან შესდგება და მისი აგება 13 მილიონ მანეთამდე ჯდება.

პირველ კორპუსში, რომლის აგება ახლა მთავრდება, მოეწყობა სხვადასხვა ლაბორატორიები, აუდიტორიები და მეცნიერ-მუშაკთა სამუშაო კაბინეტები.

მეორე კორპუსის პირველ სართულში გაიმართება ცენტრალური გათბობის სადგური, მეორე სართულში მოეწყობა სასწავლო-სამანქანო დარბაზი, სადაც წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინიგზის ქსელის ნახაზები. შემდეგი სართული დაეთმობა ინსტიტუტის ბიბლიოთეკას და სამკითხველოს.

ამჟამად მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მიმდინარეობს კედლების გალესვა-შეთეთრება. ერთი თვის შემდეგ შენობა სავსებით მზად იქნება და გადაეცემა ინსტიტუტს.

საცალფეხო ხიდი მტკვარზე

მდ. მტკვარზე (დიდუბეში) მთავრდება ახალი საცალფეხო ხიდის მშენებლობა. ახალი ხიდი საბურთალოს მოსახლეობას დააკავშირებს დიდუბესთან. მას აგრეთვე ექნება მეორე დანიშნულებაც, ხიდქვეშ გაყვანილი იქნება წყლის მაგისტრალური მილი, რომელიც წყალს მიაწოდებს საბურთალოს.

ხიდი 125 მეტრი სიგრძისაა, აქვს 5 ბურჯი და მისი აგება ჯდება 350.000 მანეთი.

ახალი საცალფეხო ხიდი მზად იქნება და გაიხსნება ოქტომბრის დიდი რევოლუციის ოცდაერთი წლის თავზე.

ბიბლიოგრაფიული ნარკვევი ამხანაგ სტალინის შრომებზე

საქართველოს წიგნ ს პალატა გამოსაცემად ამზადებს ამხანაგ სტალინის ნაწერების ბიბლიოგრაფიულ ნარკვევს. ხსენებულ ბიბლიოგრაფიულ ნარკვევში შეტანილი იქნება ბელადის მიერ როგორც ქართულ ენაზე დაწერილი წიგნები, ისე რუსულად დაბეჭდილი შრომების ქართული თარგმანები. ნარკვევში შევა აგრეთვე ამხანაგ სტალინის მიერ ახალგაზრდობაში დაწერილი ლექსები.

წიგნი ახლო მომავალში გამოვა.

წიგნს რედაქტორობს ლ. ჯიბლაძე.

ხელოვნება

თელავის სახელმწიფო თეატრის 1938-39 წ სეზონი

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 15 ოქტომბერს გახსნა 1938—39 წლის სეზონი. სეზონი გაიხსნა ახალგაზრდა დრამატურგის მელიქ ქოჩარიანის პიესით „ბრმა მუსიკოსი“, თარგმანი არტ. დავთიანისა.

მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები ალ. ალაზნისპირელი, გ. კევლიშვილი, ქ. კევლიშვილი, მ. კორინთელი, ვ. ჩელთისპირელი, ა. კუპატაძე, ი. გაჩეჩილაძე, პ. ახვლედიანი, ქ. მაჭავარიანი და სხვ.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

თეატრი ამჟამად მუშაობს ბ. გამრეკელის და გ. ნახუცრიშვილის პიესაზე „ლადო კეცხოველი“, რომელიც დაიდგმება ოქტომბრის რევოლუციის 21 წლისთავზე. უახლოეს მომავალში თეატრი დასდგამს ა. ნ. ოსტროვსკის ცნობილ კომედიას „უდანაშაულოდ დამნაშავენი“.

ძნერალთა კავშირში

2 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგება ამხ. გიორგი ლეონიძის მოხსენება თემაზე: „ბესიკი“. მომხსენებელი ახალი ისტორიული მასალებით გააშუქებს მე-18 საუკუნის დიდი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

შესვლა თავისუფალია.

2 ნოემბერს, დღის 2 საათზე, საქ. საბჭოთა მწერლების დრამსექცია აწყობს დრამატურგებისა და თეატრის მუშაკების შეხვედრას ჟურნალ „თეატრის“ რედაქტორ ამხ. ი. ალტმანთან, რომელთანაც ჩატარდება საუბარი თემაზე: „საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრალური კრიტიკის საკითხები“.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

3 ნოემბერს, საღამოს № ნაწილის წითელარმიელებთან გაიმართება ლიტერატურული საღამო. მოხსენებას „თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის შესახებ“ გააკეთებს ამხ. ბ. ჟღენტი.

საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: ს. ჩიქოვანი, ვ. გორგაძე, გ. ქუჩიშვილი, ბ. სერებრიაკოვი და გ. კრიტანი.

ახალი წიგნები

სახელგამის პოლიტსექტორის გამოცემით გამოვიდა **ი. სტალინის** წიგნი „ლენინის შესახებ“.

„ფედერაციამ“ გამოსცა პროფ. **ივ. ჯავახიშვილის** ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები **ი. ზ. ბაქრაძის** „კრებული“ (სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით), **გ. ქიქოძის** „ლიტერატურული ნარკვევები“, **შ. დადიანის** პიესა — „ნაპერწკლიდან“, **ა. ფაღავას** მონოგრაფია—„ლადო მესხიშვილი“, **დიმ. თუმანიშვილის** ლექსები (მიხ. ხელთუბნელის რედაქციით), **მიხ. ხელთუბნელის** — „სალიტერატურო საზოგადოებრივი წარსულიდან“ (ნარკვევი მ. თუმანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ) და **ვ. დარახველის** რომანტიკული პოემა „კიკვიძე“.

საქ. სამხარეთმცოდნეო საზოგადოებამ გამოსცა **ან. ხინთიბიძის** წიგნი — „გურული ფირალები“.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1528681, გაცემული ამავე რაიკომის მიერ 1936 წლის 19 ივლისს პავლე გაბრიელის-ძე მელუას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1502030, გაცემული ამავე რაიკომის მიერ კონონ ალექსის-ძე დავლიანიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქვანახშირი და მარგანეცი

31 ოქტომბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1004	753	75
ტყვარჩელი	705	740	105
ჭიათურა	5530	3981	72

პასუხისმგებელი რედაქტორი

ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

2/XI	3/XI	4/XI
მუდ. ადგ. ტალ. № 15 აბ. სერ. № 2 ევგენი ონეგინი	მუდ. ადგ. ტალ. № 16 აბ. სერ. № 4 რიგოლეტო	მუდ. ადგ. ტალ. № 17 აბ. სერ. № 3 ნუნარი ლონი

დასაწყისი 8 საათზე

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

2/XI	წარმოდგენა 39 ოტელო დადგმა შ. ალსაბაძისა.
3/XI	წარმოდგენა 40 შ. დადიანი ნაპერწკლიდან დადგმა აკ. ვასაძისა.
4/XI	წარმოდგენა 41 უდანაშაულოდ დამნაშავენი დადგმა აკ. ვასაძისა.

23 ოქტომბრიდან დაიწყო მუდმივი ბილეთების დარჩენილი ნაწილის გაცემა. მიღების დროს სავალდებულოა მეორე შემოსატანი, აგრეთვე დაწესებულებათა მინდობილობა.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

2/XI	მ უ რ ი
3/XI	ნაპერწკლიდან
4/XI	ფიგაროს ქორწინება

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ექიმი მძინარიშვილი

ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა.

ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, ბინა 38, მე-4 შესავალი, მე-2 სართული

10—9 19577

ენდოკრინოლოგიისა და ორგანოთერაპიის უკრაინის ცენტრალური ინსტიტუტი
ხარკოვი, არტემის ქ. 10—12

გულის მუშაობის გასაუმჯობესებლად მოხუცური სისუსტისა ან დაძაბუნების, დასუსტებული ნერვული სისტემის დროს და როგორც საერთო მტონიზებელი საშუალება იხმარება

სპერმინი

იყიდება სსრ კავშირის ყველა აფთიაქში და სანჰიგიენის მაღაზიებში. ადგილებზე თუ არ იქნება, მიმართეთ თბილისის საავთიაქო სამმართველოს.

3—2 91

საქ. სსრ. კვების მრეწველობის სახ. კომის.

თბილისის ტარის ქარხნის ბალანსი 1937 წლის

(ათას მანეთებში)

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1937 წლ. 1 იანვრისათვის.	თანხა 1938 წლ. 1 იანვრისათვის.
1	ძირითადი საშუალებანი (შენობები, ნაგებობანი, მანქანები, ინვენტარი	62,0	75,8
2	ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალა, ტარა	127,5	161,4
3	საქონელი და მზა პროდუქცია . .	59,5	28,0
4	გაგზავნილი საქონელი	31,7	52,4
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში .	51,5	20,9
6	ფულადი საშუალებანი (საანგარიშსწორებო ანგარიში, სალარო) .	3,2	41,9
7	ხარჯები მომავალი წლების ანგარიშში	3,0	3,6
8	შინაგანი ანგარიშსწორებანი . . .	59,6	42,6
9	დანარჩენი აქტივი	—	49,8
	ბალანსი. . .	398,0	476,4

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა 1937 წლ. 1 იანვრისათვის.	თანხა 1938 წლ. 1 იანვრისათვის.
1	საწესდებო ფონდი	141,3	225,5
2	დანარჩენი ფონდები	9,8	10,8
3	რეზერვები და მომავალი გადასახდელები	—	3,0
4	მოკლევადიანი საბანკო კრედიტები	35,3	—
5	ანგარიშსწორებანი კრედიტორებთან	211,6	75,1
6	მოგება საანგარიშო წლისა	—	162
	ბალანსი. . .	398,0	476,4

1937 წლის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები.

ა) წარმოების ხაზით.

1. პროდუქციის გამოშვება:
   ა) 1937 წლის საპითუმო გასაშვებ ფასებში 1.085,0
   ბ) პროცენტობით გეგმის მიმართ (უცვლელ ფასებში) 96%
2. თვითღირებულება შემცირებულია გეგმის წინააღმდეგ 7%-ით
3. შრომის ნაყოფიერება პროცენტობით გეგმის მიმართ 126,2%
4. ერთი საწარმოო მუშის ხელფასი პროცენტობით გეგმის მიმართ 106,8%
5. ანარიცხები წარმოების დირექტორის ფონდში 6,5
6. დახარჯულია დირექტორის ფონდის ანგარიშში 5,5

აქედან დახარჯულია:

ა) კულტსაყოფაცხოვრებო საჭიროებებზე 4,3
ბ) დაჯილდოვება 1,2
7. დირექტორის ფონდის ნაშთი ბინების მშენებლობისათვის 8,1
8. გადახარჯვა და დანაკარგები:
   ა) გადახარჯვა საამქრო ხარჯების ხაზით . . . 14,8
   ბ) საერთო საქარხნო ხარჯების ხაზით 11,6
   გ) გადახდილია საურავები, ჯარიმები, საუპირო . . .
   დ) ნედლეულის, მასალის და პროდუქციის ნაკლებობა საწყობებში 1,2

დირექტორი **სარუხანოვი.** მთავარი ბუღჰალტერი **როტმისტროვსკი.**

ბალანსი და მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ.

1785 საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის მთ. ბუღჰალტერი **პურადაშვილი.**

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 63. მთავლიტის რწმუნებული ბ—284